However, OAGB showed a higher incidence of post-operative ulceration. Ulceration, often manifesting with bleeding or perforation, was more common in the OAGB group, with the former typically managed through proton pump inhibitors or endoscopic interventions. In addition, complications requiring hospital readmission in the OAGB group included type 2 respiratory failure (T2RF) and autoimmune hepatitis. In contrast, SG-related complications necessitating admission included obstruction of a pre-existing abdominal wall hernia (which required surgical management), as well as dysphagia and peri-gastric hematomas, both of which were managed conservatively.

The incidence of gastroesophageal reflux disease (GORD) symptoms was higher in the SG group, although the difference was not statistically significant. The literature suggests that SG patients are at a higher risk for reflux symptoms, possibly due to increased intragastric pressure, while the reduced pressure in the OAGB group may contribute to lower rates of GORD.

Conclusion: Both laparoscopic sleeve gastrectomy (LSG) and one anastomosis gastric bypass (OAGB) are effective for weight loss and improving obesity-related conditions. While LSG is less traumatic and has a shorter operative time, OAGB results in more significant long-term weight loss and diabetes remission. However, OAGB is associated with higher complication rates, including ulceration and respiratory issues. The choice between procedures should be individualized and depend on a multidisciplinary team's evaluation, with input from various specialists. Further research is needed to assess long-term outcomes and better understand the risks and benefits of each procedure.

References:

1. Wallenius V, Alaraj A, Björnfot N. et al. Sleeve gastrectomy and Roux-en-Y gastric bypass in the treatment of type 2 diabetes. Two-year results from a Swedish multicenter randomized controlled trial. *Surg Obes Relat Dis.* 2020 Aug;16(8):1035-1044.

2. Ontario Health (Quality). Bariatric Surgery for Adults With Class I Obesity and Difficult-to-Manage Type 2 Diabetes: A Health Technology Assessment. *Ont Health Technol Assess Ser.* 2023 Dec 5;23(8):1-151
3. Eisenberg D, Shikora SA, Aarts E. et al. 2022 American Society of Metabolic and Bariatric Surgery (ASMBS) and International Federation for the Surgery of Obesity and Metabolic Disorders (IFSO) Indications for Metabolic and Bariatric Surgery. *Obes Surg.* 2023 Jan;33(1):3-14.
4. Ali M, Wang Y, Ji J, Wang W, Wang D. One Anastomosis Gastric Bypass Versus Sleeve Gastrectomy for Obesity: a Systemic Review and Meta-analysis. *J Gastrointest Surg.* 2023 Oct;27(10):2226-2244.
5. Das K, Nadeem F, Kabir S A Comparison of One-Year Outcomes in Sleeve Gastrectomy vs. One Anastomosis Gastric Bypass in a Single Bariatric Unit. *Cureus* 16(11): e74838 (November 30, 2024)
6. Robert M, Espalieu P, Pelascini E. et al. Efficacy and safety of one anastomosis gastric bypass versus Roux-en-Y gastric bypass for obesity (YOMEGA): a multicentre, randomised, open-label, non-inferiority trial. *Lancet.* 2019 Mar 30;393(10178):1299-1309.

ოფთალმოლოგიურ დაავადებათა გავრცელების სტატისტიკა საქართველოში

გიგი გორგაძე¹, ნინო კარანაძე²

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მედიცინის ფაკულტეტი. VI კურსი. E-mail - g.gorgadze@tsmu.edu

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკა-საქართველოს გენერალური დირექტორი, პროფესორი.

აბსტრაქტი

სკრინინგი მნიშვნელოვანია ნებისმიერი, მათ შორის ოფთალმოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მართვისთვის, განსაკუთრებით ჯანდაცვის სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობის მქონე პოპულაციაში. ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკა-საქართველოსა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით, 2022-2023 წლებში საქართველოს მასშტაბით ქვეყნის 16 რეგიონში 19 საქველმოქმედო დიაგნოსტიკური აქცია ჩატარდა. მოგროვდა და სტატისტიკურად გაანალიზდა აქციებში ჩართული 637 პაციენტის მონაცემები სქესის, ასაკისა და გამოვლენილი დაავადებების ჯგუფის მიხედვით. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ისეთ ხშირ პათოლოგიებს, როგორებიცაა პრესბიოპია, კატარაქტა, რეფრაქციული დარღვევები, დიაბეტური რეტინოპათია და სხვა. მიღებული დასკვნები ხაზს უსვამს საქველმოქმედო პროგრამების მნიშვნელობას სერვისის ხელმისაწვდომობასა და დაავადებათა დროულ გამოვლენასა და მკურნალობაში.

საკვანძო სიტყვები: სკრინინგი, რისკ-ფაქტორები, ოფთალმოლოგიური დაავადებები.

დიდია სკრინინგის როლი დაავადებათა ადრეულ გამოვლენაში, პრევენციასა და მენეჯმენტში. ცხადია, სკრინინგის ღონისძიებები ძალზე ფასეულია ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაშიც, მათ შორის, გლაუკომის, დიაბეტური რეტინოპათიის, ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციის, რეფრაქციული დარღვევების, თვალის მემკვიდრეობით დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და შემდგომში საჭირო ინტერვენციისათვის.

სკრინინგის ღონისძიებები, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპისა და ფორმატისაა. მათ შორის ყველაზე აქტუალურია საზოგადოების ოფთალმოლოგიური ჯანმრთელობის საქველმოქმედო პროგრამები - საქველმოქმედო ორგანიზაციები ხშირად მნიშვნელოვან

როლს ასრულებენ საზოგადოების თვალის ჯანმრთელობის პროგრამების ორგანიზებაში, რომლებიც მიმართულია ოფთალმოლოგიური დაავადებების ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაზე.

საკუთარი კვლევა: ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკა-საქართველოსა და საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლობის საფუძველზე, 2022-2023 წლებში საქართველოს 16 რეგიონში ჯამში 19 საქველმოქმედო აქცია გაიმართა ომების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. აქციების ფარგლებში პაციენტებს უმოწმდებოდათ მხედველობის სიმახვილე, კლინიკური რეფრაქცია, თვალშიგა წნევა, საჭიროების შემთხვევაში ერჩეოდათ სათვალე, უტარდებოდათ ოფთალმოსკოპია და თვალის ბიომიკროსკოპიული კვლევა, პათოლოგიის შემთხვევაში ეძლეოდათ დანიშნულება და საჭიროების მიხედვით, ხდებოდა მათი გადამისამართება რეგიონების მიხედვით.

	პაციენტების ქალი		კაცი		ასაკი			
	რაოდენობა			საშუალო	მედიანა	მო-და	მინიმალური	მაქსიმალური
კლინიკური დიაგნოზის გარეშე	360	63	97	54.63	58	62	5	91
პრესბიოპიით	258*	61	42	57.43	57	52	37	85
არტიფაკიით	48**	0	2	72.48	72.5	73	48	96
დაავადებით	637	69	68	65.96	66	57	48	91
1-ზე მეტი დიაგნოზით	233***	08	25	61.02	61	57	24	91
სულ	1303							

* 258 პაციენტიდან 145-ს პრესბიოპიის გარდა ჰქონდა სხვა დაავადებაც;

** 48 პაციენტიდან 14-ს არტიფაკიის გარდა ჰქონდა სხვა დაავადებაც;


*** 1-ზე მეტი დიაგნოზის მქონე 233 პაციენტი შედის 637 პაციენტში დაავადებით.

მასალა და მეთოდები: თითოეული ჩატარებული აქციის შემდეგ ყველა პაციენტის მონაცემები შეგვყავდა Microsoft Excel-ში, რომლის საშუალებითაც შეიქმნა ყველა გამოკვლეული პაციენტის ერთიანი ბაზა. სტატისტიკური კვლევისათვის გამოვიყენეთ პაციენტების სქესის, ასაკის, დიაგნოზის, მკურნალობისა და ჩატარებული აქციის ლოკაციის მონაცემები. დაავადებები, რომლებიც ჯამში 637 პაციენტს გამოუვლინდა


დაჯგუფდა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის (ICD 10) მიხედვით და სტატისტიკურად დამუშავდა SPSS პროგრამით.

	A	B	C	D	E
1	სქესი	ასაკი	დიაგნოზი	ლოკაცი.	მხარე
3	მდედრ	17	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
4	მამრ	61	ყვითელი ხალის ც	ახმეტა	აღმოსავლეთი
5	მდედრ	66	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
6	მამრ	80	კატარაქტა გართუ	ახმეტა	აღმოსავლეთი
7	მამრ	76	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
8	მამრ	62	პრესპიობია	ახმეტა	აღმოსავლეთი
9	მდედრ	70	ჰიპერმეტროპია	ახმეტა	აღმოსავლეთი
10	მდედრ	48	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
11	მდედრ	46	გლუკომა	ახმეტა	აღმოსავლეთი
12	მდედრ	54	ჰიპერმეტროპია	ახმეტა	აღმოსავლეთი
13	მდედრ	63	ანგიოსკლეროზი	ახმეტა	აღმოსავლეთი
14	მდედრ	51	პრესპიობია	ახმეტა	აღმოსავლეთი
15	მდედრ	49	კონიუნქტივიტი	ახმეტა	აღმოსავლეთი
16	მდედრ	64	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
17	მდედრ	42	პრესპიობია	ახმეტა	აღმოსავლეთი
19	მდედრ	9	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
20	მამრ	65	პრეტინოპათია	ახმეტა	აღმოსავლეთი
21	მდედრ	71	პრეტინოპათია	ახმეტა	აღმოსავლეთი
22	მამრ	63	პრესპიობია	ახმეტა	აღმოსავლეთი
23	მამრ	60	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
24	მდედრ	62	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
25	მდედრ	78	კატარაქტა	ახმეტა	აღმოსავლეთი
26	მდედრ	42	-	ახმეტა	აღმოსავლეთი
27	მამრ	74	კატარაქტა	ახმეტა	აღმოსავლეთი
28	მამრ	49	ჰიპერტონული რე	ახმეტა	აღმოსავლეთი

შედეგები: ყველაზე იშვიათი იყო მხედველობის ნერვისა და მხედველობის გზების ავადმყოფობები, ხოლო ყველაზე ხშირი - თვალის კუნთების ავადმყოფობების, პარალელური მოძრაობის, აკომოდაციისა და რეფრაქციის დარღვევები. რიგი დაავადების - ბლეფარიტის, ანიზომეტროპიის, კონიუნქტივიტისა და პტერიგიუმის შემთხვევაში გამოვლინდა დაავადების მაღალი სიხშირე მამაკაცებში ქალებთან შედარებით, ხოლო რიგი დაავადებების - მშრალი თვალის სინდრომის, ასაკობრივი კატარაქტის, დიაბეტური რეტინოპათიისა და ფონური რეტინოპათიის შემთხვევაში - დაავადების უფრო მაღალი სიხშირე ქალებში. საინტერესოა, რომ გარკვეულ დაავადებათა შემთხვევაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება დაავადების მქონე ყველა პაციენტის საშუალო ასაკთან.



რიგი დაავადებების შემთხვევაში გამოვლინდა აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში უფრო მეტად გავრცელების ტენდენცია. ვინაიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გამოკვლეულ ინდივიდთა ჯამურ რაოდენობათა ფარდობა ახლოსაა 1-თან (736/786, ცხრილები 2 და 3), სტატისტიკურად სარწმუნო შედარებისათვის გამოსადეგია პირდაპირ რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარება.



განხილვა: მასალის სტატისტიკური კვლევის შედეგად დასტურდება, რომ რიგი დაავადებები ხასიათდება გამოვლენის უფრო მაღალი ტენდენციურობით სქესის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: კლინიკური დიაგნოზის მქონე პაციენტების საშუალო ასაკზე ნაკლებია საცრემლე ჯირკვლის ავადმყოფობის, კერატოკონუსის,

რეფრაქციის დარღვევების მქონე პაციენტების საშუალო ასაკი, რაც ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტების ნახევარი 61 და მეტი წლის იყო, ხოლო ჩამოთვლილი პათოლოგიები ნაკლებად ხასიათდება მაღალ ასაკში გამოვლენის ტენდენციით.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ გამოკვლეული პაციენტების დიდი ნაწილი პირველად იმყოფებოდა მხედველობის სკრინინგზე, ხოლო აგეთვე დიდი ნაწილი იყო ოპერირებული, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო კონტროლის შეუძლებლობის შედეგად, სწორედ აქციის საშუალებით შეძლეს მხედველობის ორგანოს არსებული მდგომარეობის შემოწმება.

დასკვნა

მოცემული კვლევის შედეგად გამოვლენილი შედეგებით და იმით, რომ რიგ პაციენტთა შემთხვევაში ჩატარებული აქცია არსებითად გადამწყვეტი აღმოჩნდა სამომავლო ინტერვენციისა და მხედველობის შენარჩუნების თვალსაზრისით, დასტურდება მხედველობის შემოწმების მსგავსი საქველმოქმედო აქციების მაღალი ეფექტურობა და აქტუალობა საქართველოში.

ზოგიერთი სტატისტიკური ცვლადის კონკრეტულ ჯგუფში მაღალი სიხშირით გამოვლენის ტენდენცია მიუთითებს გარკვეული რისკ-ფაქტორების არსებობაზე, რომლებიც საჭიროებს დამატებით კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aldebasi YH, Alsuhaibani AH, Khan AH, Alghulaydhawi F. Community eye screening for refractive errors in school adolescents in Western Saudi Arabia: A retrospective study. *Middle East Afr J Ophthalmol.* 2017;24(3):148-153.
2. Courtright P, Metcalfe N, Hoehsmann A, Chirambo M, Noertjojo K, Mathenge W. Use of mobile eye units in unexpected disaster response: A case report from Malawi. *Int Health.* 2017;9(5):291-293.
3. Gilbert C, Shah SP, Jadoon MZ, et al. Poverty and blindness in Pakistan: Results from the Pakistan national blindness and visual impairment survey. *BMJ Open.* 2015;5(8):e008210.
4. Klein R, Klein BE, Jensen SC, Meuer SM. The five-year incidence and progression of age-related maculopathy: The Beaver Dam Eye Study. *Ophthalmology.* 2004;111(6):1176-1181.
5. Li M, Wang Y, Liu Z, et al. Females with type 2 diabetes mellitus are prone to diabetic retinopathy: A twelve-province cross-sectional study in China. *J Diabetes Res.* 2020;2020:5814296. doi:10.1155/2020/5814296. PMID: 32377522; PMCID: PMC7191394.

6. Lv X, Gao X, Hu K, et al. Associations of humidity and temperature with cataracts among older adults in China. *Front Public Health*. 2022;10:872030. doi:10.3389/fpubh.2022.872030. PMID: 35433602; PMCID: PMC9008244.
7. Wajuihian SO, Mashige KP. Gender and age distribution of refractive errors in an optometric clinical population. *J Optom*. 2021;14(4):315-327. doi:10.1016/j.optom.2020.09.002. PMID: 33487574; PMCID: PMC8569398.
8. ჩიჩუა ა, ჩიჩუა გ, გორგაძე გ. კლინიკური ოფთალმოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლები. თბილისი, საქართველო: გამომცემლობა წიგნი+ერი; 2021.

A Comprehensive Review of Precocious Puberty in Girls: From Diagnosis to Treatment

Bhatia Ritika

University Geomedi, Faculty of Medicine

Email: r.bhatia@geomedi.edu.ge

Supervisor: Elene Asanidze

Email: elene.asanidze@geomedi.edu.ge

Abstract

Puberty is a critical developmental phase involving hormonal and physiological changes essential for reproductive maturation. Precocious puberty, characterized by the early onset of secondary sexual characteristics before age 8 in girls, presents significant challenges in pediatric gynecology due to its diverse manifestations and impact on growth and psychosocial development. The management of this condition is complicated by inconsistent diagnostic criteria and varied clinical presentations.

Objective: This study examines diagnostic and management strategies for precocious puberty, with the aim of improving clinical outcomes, reducing long-term effects, and highlighting emerging trends in the treatment of early sexual maturation.

Methods: A literature review was conducted using PubMed, Embase, Cochrane Library, Web of Science, and Google Scholar up to November 2024. Observational studies, meta-analyses, and systematic reviews were included, while case series and reports were excluded.

Results: Diagnostic evaluation includes a thorough history, physical examination, and bone age assessment. Elevated luteinizing hormone (LH) levels suggest puberty onset, with further imaging to differentiate central from peripheral causes. Brain MRI is recommended for central precocious puberty (CPP), while pelvic and adrenal ultrasounds are used for peripheral causes. The gonadotropin-releasing hormone (GnRH) stimulation test is utilized in unclear cases. Differentiating between progressive and non-progressive forms is essential to avoid unnecessary treatments.

Management focuses on minimizing the effects of sex steroids and optimizing growth. Gonadotropin-releasing hormone analogs (GnRHa) are used to delay sexual maturation in CPP, while hormonal suppression or surgery is considered for peripheral precocious puberty, especially when a tumor is involved.

Conclusion: The management of precocious puberty requires a multidisciplinary approach with standardized diagnostic protocols and individualized treatment plans to optimize both short- and long-term outcomes.

Keywords: Precocious puberty, reproductive maturation, pediatric gynecology.

Introduction

Puberty represents a critical developmental phase, marking the transition from childhood to adulthood, characterized by significant physiological and hormonal changes essential for reproductive maturation.[1-2] When this milestone occurs prematurely, it is referred to as precocious puberty. [2-3]This condition not only affects the reproductive health of the individual but also has profound psychological implications.[2-4] Precocious puberty is defined by the early onset of secondary sexual characteristics before the age of 8 in girls, posing considerable challenges in pediatric gynecology due to its heterogeneous manifestations and impact on growth and psychosocial development.[3-4]

Precocious puberty is classified into two types based on the pathophysiology of the gonadotropin-releasing hormone (GnRH) axis: central precocious puberty (CPP), which is gonadotropin-dependent, and peripheral precocious puberty (PPP), which is gonadotropin-independent.[3,4] CPP is typically caused by the early activation of the hypothalamic-pituitary-gonadal (HPG) axis, while PPP arises from other underlying conditions. The prevalence of precocious puberty in urban areas is approximately 12.21%.[3-5]

Genetic mutations, including MKRN-3, DLK-1, and KISS-1, have been associated with CPP, while acquired factors such as exogenous androgen exposure, functional ovarian cysts, and pseudo-precocious puberty resulting from primary hypothyroidism can also contribute.[2,5]

The management of this condition is complicated by inconsistent diagnostic criteria and varied clinical presentations, further complicating the development of standardized protocols.[4]

Objective: This study examines diagnostic and management strategies for precocious puberty, with the aim of improving clinical outcomes, reducing long-term effects, and highlighting emerging trends in the treatment of early sexual maturation.

Methods:

A literature review was conducted using PubMed, Embase, Cochrane Library, Web of Science, and Google Scholar up to November 2024. Observational studies, meta-analyses, and systematic reviews were included, while case series and reports were excluded.

Results:

Diagnostic evaluation includes a comprehensive history, physical examination, bone age assessment, and hormonal profiling. Elevated luteinizing hormone (LH) and follicle-stimulating hormone (FSH) levels suggest the onset of puberty. Imaging studies—such as brain MRI for CPP and pelvic/adrenal ultrasounds for PPP—are essential for determining the underlying cause. The gonadotropin-releasing hormone (GnRH) stimulation test is also utilized in cases with unclear diagnoses.

The primary goal of treatment is to delay the onset of puberty to allow for proper physical and emotional development, particularly to avoid complications such as short stature and psychological distress. For CPP, the treatment of choice is the administration of gonadotropin-releasing hormone analogs (GnRHa). These medications act by suppressing the early activation of the HPG axis, effectively pausing sexual maturation and allowing for continued growth. Treatment with GnRHa is typically discontinued once the child reaches an appropriate height and growth potential is optimized.

For PPP, treatment strategies are more varied. In cases of PPP caused by hormonal imbalances, such as congenital adrenal hyperplasia or McCune-Albright syndrome, hormonal suppression may be used. When a tumor is identified as the underlying cause, surgical intervention may be necessary to remove the tumor and halt the progression of puberty.

While treatment primarily focuses on halting sexual maturation to optimize growth, addressing the psychosocial aspects of early puberty is equally important. Key complications of precocious puberty include short stature, increased psychological stress, social challenges, and heightened risks for depression and long-term reproductive health issues. Thus, a comprehensive treatment plan, involving both medical management and psychological support, is essential for the well-being of the child.

Conclusion

The management of precocious puberty requires a multidisciplinary approach with standardized diagnostic protocols and individualized treatment plans. Ongoing research and collaboration are essential to refining diagnostic criteria and treatment strategies, ensuring better long-term outcomes for children affected by precocious puberty.

References:

1. Bangalore Krishna K, Fuqua JS, Rogol AD, Klein KO, Popovic J, Houk CP, Charmandari E, Lee PA, Freire AV, Ropelato MG, Yazid Jalaludin M, Mbogo J, Kanaka-Gantenbein C, Luo X, Eugster EA, Klein KO, Vogiatzi MG, Reifschneider K, Bamba V, Garcia Rudaz C, Kaplowitz P, Backeljauw P, Allen DB, Palmert MR, Harrington J, Guerra-Junior G, Stanley T, Torres Tamayo M, Miranda Lora AL, Bajpai A, Silverman LA, Miller BS, Dayal A, Horikawa R, Oberfield S, Rogol AD, Tajima T, Popovic J, Witchel SF, Rosenthal SM, Finlayson C, Hannema SE, Castilla-Peon MF, Mericq V, Medina Bravo PG. Use of Gonadotropin-Releasing Hormone Analogs in Children: Update by an International Consortium. *Horm Res Paediatr.* 2019;91(6):357-372. doi: 10.1159/000501336. Epub 2019 Jul 18. PMID: 31319416.
2. Sağsöz, N., Orbak, Z., and Tan, H. "Kizlarda Puberte Prekoks" *J Clin Obstet Gynecol* 10, no. 2 (2000): 67-78.

3. Martinerie L, de Mouzon J, Blumberg J, di Nicola L, Maisonobe P, Carel JC; PREFER study group. Fertility of Women Treated during Childhood with Triptorelin (Depot Formulation) for Central Precocious Puberty: The PREFER Study. *Horm Res Paediatr.* 2020;93(9-10):529-538. doi: 10.1159/000513702. Epub 2021 Mar 26. PMID: 33774631; PMCID: PMC8686727.
4. Chen Y, Huang X, Tian L. Meta-analysis of machine learning models for the diagnosis of central precocious puberty based on clinical, hormonal (laboratory) and imaging data. *Front Endocrinol (Lausanne).* 2024 Mar 25;15:1353023. doi: 10.3389/fendo.2024.1353023. PMID: 38590824; PMCID: PMC11001252.
5. <https://doi.org/10.6065/apem.2346168.084>

პირის ღრუს ჯანმრთელობის გავლენა რეპროდუქციულ სისტემაზე

გორგაძე ანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, II კურსი.

ხელმძღვანელი: უნივერსიტეტი გეომედის ასოცირებული პროფესორი, ასანიძე ელენე.

E-mail: asanidzeelene@yahoo.com

აბსტრაქტი

პირის ღრუს ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ინდივიდის საერთო ჯანმრთელობაში. ახალი მტკიცებულებებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირის ღრუს ჯანმრთელობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეპროდუქციული სისტემის ფუნქციონირებაზე. პირის ღრუს ჰიგიენის დარღვევა და სხვადასხვა დაავადებები, როგორცაა ღრძილების დაავადება (პერიოდონტიტი), ასოცირდება ჯანმრთელობის სხვადასხვა სისტემურ პრობლემებთან, მათ შორის ნაყოფიერების პრობლემებთან, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში [1].

კვლევის მიზანი: პირის ღრუს ჯანმრთელობასა და ფერტილობის შორის კავშირის დადგენა.

კვლევის მეთოდი: განხორციელდა ლიტერატურული მიმოხილვა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების Pubmed, Embase, Cochrane Library, Web of Science, and Google Scholar გამოყენებით.

კვლევის შედეგები: პირის ღრუს ჰიგიენის დარღვევა და სხვადასხვა დაავადებები, როგორცაა ღრძილების დაავადება (პერიოდონტიტი), ასოცირდება ჯანმრთელობის სხვადასხვა სისტემურ პრობლემებთან, მათ შორის ფერტილობის პრობლემებთან, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

ორსულობის ადრეულ ვადებზე, მათ შორის პრეიმპლანტაციურ პერიოდში სისტემური ანთებითი რეაქცია და იმუნური სისტემის დარღვევა ხელს უწყობს იმპლანტაციის დარღვევის გზით ორსულობის დანაკარგების განვითარებას. პაროდონტალური დაავადება წარმოადგენს რისკ ფაქტორს ორსულობის ისეთი გართულებების განვითარების, როგორცაა პრეეკლამფსია, ნაადრევი მშობიარობა, პლაცენტის ნაადრევი აცლა და ნაყოფის ზრდის შეფერხება [2].

მამაკაცებში პირის ღრუს ჯანმრთელობის დარღვევა ასოცირდება სპერმის დაბალ ხარისხთან, მათ შორის სპერმის რაოდენობის შემცირებასა და მოძრაობის დარღვევებთან. სხვადასხვა კვლევების თანახმად მძიმე პერიოდონტიტი მამაკაცებში შეიძლება ასოცირდებოდეს ერექციულ დისფუნქციასთან [2-5].

დასკვნა

გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირი პირის ღრუს ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შორის.

პირის ღრუს ჯანმრთელობის შეფასებებამ, ჰიგიენის დაცვამ და პირის ღრუს

ჯანმრთელობის გაუმჯობესებამ პრეგრავიდარულ პერიოდში და ორსულობისას შესაძლოა გააუმჯობესოს რეპროდუქციული გამოსავალი.

საკვანძო სიტყვები: პირის ღრუს ჯანმრთელობა, ფერტილობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, პაროდონტალური დაავადება, პირის ღრუს ჰიგიენა.

შესავალი

პირის ღრუს ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ინდივიდის საერთო ჯანმრთელობაში. ახალი მტკიცებულებებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირის ღრუს ჯანმრთელობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეპროდუქციული სისტემის ფუნქციონირებაზე. პირის ღრუს ჰიგიენის დარღვევა და სხვადასხვა დაავადებები, როგორცაა ღრძილების დაავადება (პერიოდონტიტი), ასოცირდება ჯანმრთელობის სხვადასხვა სისტემურ პრობლემებთან, მათ შორის ნაყოფიერების პრობლემებთან, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში [3].

პირის ღრუს ჯანმრთელობასა და ნაყოფიერებას შორის ურთიერთკავშირის დადგენა მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის ოპტიმიზაციისა და რეპროდუქციული გამოსავლის გაუმჯობესებისთვის [3-4].

კვლევის მიზანი: პირის ღრუს ჯანმრთელობისა და ფერტილობის შორის კავშირის დადგენა.

კვლევის მეთოდი: განხორციელდა ლიტერატურული მიმოხილვა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების Pubmed, Embase, Cochrane Library, Web of Science, and Google Scholar გამოყენებით.

კვლევის შედეგები და დისკუსია: პაროდონტალური დაავადება (პდ) არის ღრძილების, დამხმარე ქსოვილების და ყბის ძვლის ქრონიკული ანთება, რომელიც მკურნალობის გარეშე შეიძლება განვითარდეს სისტემურ დაავადებამდე [4]. სისტემური ანთებითი პროცესები და იმუნური სისტემის დარღვევა პაროდონტის დაავადების დროს წარმოადგენს ანთების მედიატორების მიერ ციტოკინებისა და იმუნოგლობულინების წარმოქმნის შედეგს [5]. ასევე ბაქტერიები, თავისი მოღვაწეობით, შუამავლობენ ანთებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემურ ანთებითი ცვლილებების პროგრესირება [6].

ქალებში, პაროდონტის დაავადებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს რეპროდუქციულ სისტემაზე ჰორმონების სეკრეციაზე ზემოქმედებით და პოტენციურად დაქვეითდეს ფერტილობა [7].

პაროდონტალური დაავადებამ და მის შედეგად განვითარებულმა სისტემურმა ანთებითმა რეაქციამ, შეიძლება ხელი შეუწყოს ორსულობის არასასურველ გამოსავალს ნაყოფზე ბაქტერიების გავრცელების ან იმუნური სისტემის დარღვევის გზით. ორსულობის ადრეულ ვადებზე, მათ შორის პრეიმპლანტაციურ პერიოდში სისტემური ანთებითი რეაქცია და იმუნური სისტემის დარღვევა ხელს უწყობს იმპლანტაციის დარღვევის გზით ორსულობის დანაკარგების განვითარებას. პაროდონტალური დაავადება წარმოადგენს რისკ ფაქტორს ორსულობის ისეთი გართულებების

განვითარების, როგორცაა პრეკლამფსია, ნაადრევი მშობიარობა, პლაცენტის ნაადრევი აცლა და ნაყოფის ზრდის შეფერხება [5-8].

სისხლის მიმოქცევის სისტემაში პირის ღრუს ბაქტერიების გავრცელება კი იწვევს ანთებით რეაქციებს, რომლებიც გავლენას ახდენს სხვა ორგანოების ფუნქციონირებაზე, მათ შორის პლაცენტასა და ამნიონურ სითხეზე. კვლევების შედეგად გამოვლენილი იყო ბაქტერიები, როგორცაა *Porphyromonas gingivalis* და *Fusobacterium nucleatum* პაროდონტიტის მქონე ქალების ამნიონურ სითხეში და პლაცენტაში, რაც აკავშირებს არანამკურნალევ პაროდონტალურ დაავადებას ორსულობის არაკვათილსაიმედო გამოსავალთან [6-9].

მამაკაცებში პირის ღრუს ჯანმრთელობის დარღვევა ასოცირდება სპერმის დაბალ ხარისხთან, მათ შორის სპერმის რაოდენობისა და მოძრაობის შემცირებასთან. სხვადასხვა კვლევების თანახმად მძიმე პერიოდონტიტი მამაკაცებში შეიძლება ასოცირდებოდეს ერექციულ დისფუნქციასთან [10].

საინტერესოა რანდომიზებული-კონტროლირებადი კვლევა Steven Offenbache და თანაავტორების, სადაც ჩართული იყო 400 ორსული ქალი პაროდონტის დაავადებით, აქედან 200 ქალს ჩაუტარდა პაროდონტის მკურნალობა ორსულობის 28 კვირამდე, ხოლო საკონტროლო ჯგუფის ორსულებს მკურნალობა არ ჩატარებია. როგორც აღმოჩნდა, ნაადრევი მშობიარობის სიხშირე ჯგუფში, რომელსაც ჩაუტარდა მკურნალობა შეადგენდა 1.84%, რაც სარწმუნოდ უფრო ნაკლებია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რომელშიც აღენიშნებოდა 10.11% [9].

ბოლო წლების კვლევებში, ასევე განიხილება პაროდონტის პათოლოგიის შესაძლო კორელაცია ისეთ დაავადებებთან, როგორცაა პოლიცისტური საკვერცხეების სინდრომი, ენდომეტრიოზი და სიმსუქნე, რაც ართულებს განაყოფიერების ალბათობას და ორსულობის გამოსავალს [9-11].

საინტერესოა ჯვარედინი შემთხვევითი-კონტროლირებადი კვლევის შედეგებიც, რომელიც მოიცავდა რეპროდუქციული ასაკის 50 ქალს ცოცხალშობადობით და 50 ქალს აუხსნელი ეტიოლოგიის უნაყოფობით ანამნეზში. აღმოჩნდა, რომ ქალებში უნაყოფობით კარიესის ტიპის დაზიანებები, ღრძილების პათოლოგიის სიხშირე სარწმუნოდ უფრო მაღალი იყო შედარებით ქალების ჯგუფთან ცოცხალშობადობით ანამნეზში [11].

14 სისტემური კვლევის მიმოხილვამ აჩვენა მკაფიო პოზიტიური კავშირი პაროდონტის დაავადებას და ნაყოფიერების პრობლემებს შორის. ზოგიერთი კვლევა აკავშირებს პირის ღრუს ცუდ ჯანმრთელობას დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიების გამოყენების მომატებულ სიხშირესთან. მძიმე პაროდონტიტის მქონე მამაკაცებს აღენიშნებოდათ სპერმატოზოიდების დაბალი მოძრაობის უნარი და სპერმის შემცირებული რაოდენობა. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცებს, რომლებსაც აქვთ კბილებზე მეტი ნადები და ღრძილების ჯიბეები, ჰქონდათ სპერმის დაბალი რაოდენობა [10,11].

არსებობს მზარდი მტკიცებულება, რომ პერიოდონტიტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მამაკაცის სექსუალურ ჯანმრთელობაზე. განხილული იქნა 19 კვლევა, მათგან: ცხრა გამოკვლევიდან რვამ დაადგინა მნიშვნელოვანი კავშირი ერექციულ დისფუნქციასა

და პაროდონტიტს შორის. მხოლოდ სამმა კვლევამ შეაფასა კავშირი სასქესო ჰორმონების დონესა და პერიოდონტიტს შორის და ამ კვლევებიდან ორმა აჩვენა, რომ პაროდონტიტის მქონე პაციენტებში მოსალოდნელია ტესტოსტერონის უფრო მაღალი დონე. საბოლოოდ, ხუთი გამოკვლევიდან ორმა აჩვენა მნიშვნელოვანი ნეგატიური კავშირი სპერმის ხარისხსა და პაროდონტიტს შორის[6-11]. Nwhator et al. (2014) აღმოაჩინა პოზიტიური კორელაცია პერიოდონტიტსა და სპერმის რაოდენობრივი დარღვევებს შორის, კლინგერი და სხვა. (2011) კვლევის შედეგად დაადგინეს, მამრობითი უნაყოფობის მქონე პაციენტების 88%-ს ჰქონდა გინგივიტი ან პერიოდონტიტი, ხოლო 63%-ს ჰქონდა სპერმის პათოლოგიური რაოდენობა.

დასკვნა

გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირი პირის ღრუს ჯანმრთელობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შორის.

პირის ღრუს ჯანმრთელობის შეფასებებამ, ჰიგიენის დაცვამ და პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესებამ პრეგრავიდარულ პერიოდში და ორსულობისას შესაძლოა გააუმჯობესოს რეპროდუქციული გამოსავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Machado, V., Lopes, J., Patrão, M., Botelho, J., Proença, L., & Mendes, J. J. (2020). Validity of the association between periodontitis and female infertility conditions: a concise review. *Reproduction*, 160(3), R41-R54. Retrieved Dec 2, 2024
2. Bobetsis YA, Ide M, Gürsoy M, Madianos PN. Periodontal diseases and adverse pregnancy outcomes. Present and future. *Periodontol 2000*. 2023 May 6. doi: 10.1111/prd.12486.
3. Márquez-Arrico CF, Silvestre FJ, Fernández-Reyes M, Silvestre-Rangil J, Rocha M. Is there an association between periodontal disease and infertility? A systematic review. *Med Oral Patol Oral Cir Bucal*. 2024 Nov 1;29(6):e866-e875.
4. Ludovichetti FS, Signoriello AG, Gobbato EA. et al. Can periodontal disease affect conception? A literature review. *Reprod Fertil*. 2021 Feb 5;2(1):R27-R34
5. Ludovichetti, F. S., Signoriello, A. G., Gobbato. et al. Can periodontal disease affect conception? A literature review. *Reproduction and Fertility*, 2(1), R27-R34. Retrieved Dec 2, 2024
6. López NJ, Smith PC, Gutierrez J. Periodontal therapy may reduce the risk of preterm low birth weight in women with periodontal disease: a randomized controlled trial. *J Periodontol*. 2002 Aug;73(8):911-24.
7. Machado V, Lopes J, Patrão M. et al. Validity of the association between periodontitis and female infertility conditions: a concise review. *Reproduction*. 2020 Sep;160(3):R41-R54.
8. Yildiz Telatar G, Gürlek B, Telatar BC. Periodontal and caries status in unexplained female infertility: A case-control study. *J Periodontol*. 2021 Mar;92(3):446-454

9. Márquez-Arrico CF, Silvestre FJ, Fernández-Reyes M. et al. Is there an association between periodontal disease and infertility? A systematic review. *Med Oral Patol Oral Cir Bucal*. 2024 Nov 1;29(6): e866-e875.
10. Lecaplain B, Badran Z, Soueidan A. et al. Periodontitis, erectile dysfunction, reproductive hormones, and semen quality: A systematic review. *Andrology*. 2021 May;9(3):769-780.
11. Tao DY, Zhu JL, Xie CY. et al. Relationship between periodontal disease and male infertility: A case-control study. *Oral Dis*. 2021 Apr;27(3):624-631.

ნანოაგენტების როლი კიბოს თერაპიაში

მარიამ ტყეშელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, V კურსი.

ელფოსტა: maria.tyeshelashvili@gmail.com

აბსტრაქტი

საშვილოსნოს ყელის კიბო ერთ-ერთი ყველაზე ავთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ხასიათდება სიმსივნური უჯრედების აგრესიული ქცევით. საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავების მიუხედავად, სხვადასხვა ტიპის სიმსივნურ უჯრედებს უვითარდებათ რეზისტენტობა ჩვეულებრივი თერაპიული საშუალებების მიმართ, რომელიც კიბოს თერაპიაში დღესდღეობით გამოიყენება. მეორე მხრივ, ნანონაწილაკები ახლახან გამოიყენეს ადამიანის კიბოს სამკურნალოდ წამლების მიწოდების გზით, რითაც დამტკიცდა, რომ ის ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების დეგრადაციას. სტიმულისადმი მგრძობიარე ნანოსტრუქტურებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თერაპიული საშუალებების გამოყოფა სიმსივნის ადგილზე. წინამდებარე მიმოხილვაში განხილულია საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის ნანონაწილაკები, მათ შეუძლიათ, როგორც ქიმიოთერაპიული მედიკამენტების, ასევე ბუნებრივი ნაერთების მიწოდება კიბოს საწინააღმდეგო აქტივობის გასაზრდელად და საშვილოსნოს ყელის სიმსივნეში წამლების წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, გენეტიკური „ხელსაწყოები“, როგორცაა siRNA, შეიძლება მიეწოდოს ნანონაწილაკებს სიმსივნის ადგილზე მათი დაგროვების გასაძლიერებლად. სელექციურობის გაზრდის მიზნით, შემუშავებულია სტიმულზე პასუხისმგებელი ნანონაწილაკები, როგორცაა pH- და რედოქსზე პასუხისმგებელი ნანომატარებლები საშვილოსნოს ყელის სიმსივნის ჩასახშობად. გარდა ამისა, ნანონაწილაკებს შეუძლიათ გამოიწვიონ ფოტო-თერმული და ფოტოდინამიკური თერაპია საშვილოსნოს ყელის სიმსივნეში უჯრედების აპოპტოზის დასაჩქარებლად. ინფორმაციისა და კვლევებზე დაყრდნობით ნანობიოტექნოლოგია აჩვენებს უზღოდ დიდ პოტენციალს საშვილოსნოს ყელის კიბოს და არამარტო მის მკურნალობაში, განსაკუთრებით სიმსივნის იმუნოთერაპიის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის კიბო, ნანონაწილაკები, წამლისმიერი რეზისტენტობა.

შესავალი

საშვილოსნოს ყელის კიბო ძირითადად გამოწვეულია მაღალი რისკის ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ტიპის მუდმივი ინფექციით. მიუხედავად სკრინინგის პროგრამებისა და ვაქცინების დანერგვის წინსვლისა, საშვილოსნოს ყელის კიბო კვლავ

რჩება კიბოსთან დაკავშირებული სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად მთელ მსოფლიოში. მკურნალობის ტრადიციული მეთოდები, მათ შორის ქირურგია, ქიმიოთერაპია და სხვიური თერაპია, ხშირად აწყდება მნიშვნელოვან გამოწვევებს, მათ შორის არასპეციფიკური წამლის მიწოდებას, სისტემურ ტოქსიკურობას და წამლის წინააღმდეგობის განვითარებას. სტატიაში წარმოდგენილია ნანობიოტექნოლოგია, როგორც პერსპექტიული ალტერნატივა ამ შეზღუდვების დასაძლევად, რომელიც გვთავაზობს კიბოს მკურნალობის უფრო მიზანმიმართულ და ეფექტურ მიდგომას. [3]

ძირითადი ტექსტი

საშვილოსნოს ყელის კიბო რჩება ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევად, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც სკრინინგისა და ვაქცინაციის მცდელობები შეიძლება არაადეკვატური იყოს. სტატია იკვლევს ნანობიოტექნოლოგიის პოტენციალს, როგორც ინოვაციურ მიდგომას საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის ეფექტურობის გასაძლიერებლად. იგი ხაზს უსვამს ნანოსტრუქტურების როლს წამლების მიწოდების სისტემებში, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ თერაპიული შედეგები და შეამცირონ არასასურველი ეფექტები, რომლებიც დაკავშირებულია კიბოს ჩვეულებრივ მკურნალობასთან. [1], [2], [3]

ნანობიოტექნოლოგიის როლი კიბოს მკურნალობაში

ნანობიოტექნოლოგია გულისხმობს მასალების მანიპულირებას ნანომასშტაბით (1-დან 100 ნანომეტრამდე) უნიკალური თვისებების მქონე სტრუქტურების შესაქმნელად. კიბოს მკურნალობის კონტექსტში, ნანონაწილაკები შეიძლება იყოს ქიმიოთერაპიული აგენტების მატარებლები, რაც ამლიერებს მათ მიწოდებას სიმსივნურ უბნებზე და ამცირებს ჯანსაღი ქსოვილების ზემოქმედებას. სტატიაში განხილულია ნანონაწილაკების სხვადასხვა სახეობა, მათ შორის ლიპოსომები, დენდრიმერები და პოლიმერული ნანონაწილაკები, რომელთაგან თითოეულს აქვს განსხვავებული უპირატესობები წამლის მიწოდებაში.

ლიპოსომები: ამ ლიპიდზე დაფუძნებულ ნანონაწილაკებს შეუძლიათ დაამყარონ როგორც ჰიდროფილური, ასევე ჰიდროფობიური პრეპარატები, რაც უზრუნველყოფს კონტროლირებად განთავისუფლებას და გაუმჯობესებულ ბიოშელწვეადობას. ლიპოსომები შეიძლება შეიცვალოს სამიზნე ლიგანდებთან ერთად კიბოს უჯრედების სპეციფიკის გასაძლიერებლად. მათი ბიოთავსებადობა და იმუნური სისტემისგან თავის არიდების უნარი მათ წამლის მიწოდების იდეალურ კანდიდატებად აქცევს.

დენდრიმერები: დენდრიმერები არის ძლიერ განშტოებული პოლიმერები, რომლებიც იძლევა წამლის ზუსტი დატვირთვისა და განთავისუფლების პროფილების საშუალებას. მათი ზედაპირის ფუნქციონირება შესაძლებელია სამიზნე მოლეკულებით, რაც აუმჯობესებს წამლების დაგროვებას სიმსივნეებში.

დენდრიმერების ერთიანი ზომა და ფორმა ხელს უწყობს პროგნოზირებად ფარმაკოკინეტიკას, რაც მათ შესაფერისს ხდის მიზნობრივი თერაპიისთვის.

პოლიმერული ნანონაწილაკები: ეს ნაწილაკები შეიძლება შეიქმნას სპეციფიკურ სტიმულებზე, როგორცაა pH ან ტემპერატურა, რაც საშუალებას აძლევს წამლის კონტროლირებად გამოყოფას სიმსივნის მიკროგარემოში. პოლიმერული ნანონაწილაკები ასევე შეიძლება შეიქმნას მრავალი თერაპიული აგენტის ჩართვისთვის, რაც უზრუნველყოფს პლატფორმას კომბინირებული თერაპიისთვის.

მოქმედების მექანიზმები: სტატიაში აღწერილია, თუ როგორ შეუძლია ნანობიოტექნოლოგიურ მიდგომებს გაზარდოს კიბოს არსებული მკურნალობის თერაპიული ეფექტურობა - მიზანმიმართული მიწოდება: ნანონაწილაკების მოდიფიცირებით ლიგანდებით, რომლებიც სპეციალურად აკავშირებენ კიბოს უჯრედების რეცეპტორებს, მედიკამენტები შეიძლება მიეწოდოს უშუალოდ სიმსივნურ უჯრედებს, გაზარდოს ადგილობრივ კონცენტრაციებს და ამცირებს სისტემურ ტოქსიკურობას. ეს მიზანმიმართული მიდგომა ხელს უწყობს ტრადიციული ქიმიოთერაპიის შეზღუდვების დაძლევას, რომელიც ხშირად აზიანებს როგორც კიბოს, ასევე ჯანმრთელ უჯრედებს. მაგალითად, ფოლიუმის ნანონაწილაკების გამოყენებამ დადებითად აჩვენა წამლების შერჩევითი მიწოდება ფოლიუმის რეცეპტორების გადაჭარბებული გამოხატვის საშვილოსნოს ყელის კიბოს უჯრედებისთვის.

კომბინირებული თერაპია: ნანონაწილაკები შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი თერაპიული აგენტის, როგორცაა ქიმიოთერაპიული საშუალებები და ბუნებრივი ნაერთების ერთობლივი მიწოდებისთვის. ამ კომბინაციას შეუძლია გააძლიეროს საერთო კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი და დაეხმაროს წინააღმდეგობის მექანიზმების დაძლევაში. სხვადასხვა მოდალობის კომბინირების სინერგიულმა ეფექტებმა შეიძლება გამოიწვიოს მკურნალობის გაუმჯობესებული შედეგები და გვერდითი ეფექტების შემცირება.

წამლისადმი რეზისტენტობის დაძლევა: საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქიმიოთერაპიის მიმართ რეზისტენტობის განვითარება. სტატიაში განხილულია, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას ნანონაწილაკები წინააღმდეგობის გზების გვერდის ავლით, რაც პოტენციურად აღადგენს მგრძობელობას წამლების მიმართ, რომლებიც ადრე არაეფექტური იყო. მაგალითად, ქიმიოთერაპიული აგენტების რეზისტენტობის მოდულირებადი ნაერთებით ინკაფსულირებით, ნანონაწილაკებს შეუძლიათ გააძლიერონ წამლის დაგროვება რეზისტენტულ კიბოს უჯრედებში. [4], [5], [6], [7].

კლინიკური კვლევები ნანობიოტექნოლოგიაში საშვილოსნოს ყელის კიბოსთვის

სტატიაში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი კლინიკური კვლევა, რომლებიც ჩატარდა საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობაში ნანობიოტექნოლოგიური

მიდგომების ეფექტურობის შესაფასებლად. ეს კვლევები გადამწყვეტია იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ამ ინოვაციური თერაპიის ინტეგრირება კლინიკურ პრაქტიკაში.

პირველი კვლევა - ლიპოსომური დოქსორუბინის საშვილოსნოს ყელის კიბოზე განვითარებული კიბოსთვის.

მიზანი: ლიპოსომური დოქსორუბინის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შეფასება საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებულ პაციენტებში. მონაწილეობდა 150 ქალი, რომელთაც დიაგნოზირებული აქვთ საშვილოსნოს ყელის კიბო, მონაწილეობდა ამ მრავალცენტრიან კვლევაში. ხანგრძლივობა: ტესტი გაგრძელდა 12 თვე, მონაწილეები მკურნალობდნენ ყოველ სამ კვირაში.

შედეგები: კვლევამ მოიხსენია 40% პასუხის საერთო მაჩვენებელი, ნაწილობრივი პასუხები დაფიქსირდა 60 პაციენტში. აღსანიშნავია, რომ ლიპოსომური ფორმულირება მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემურ ტოქსიკურობას, კარდიოტოქსიკურობის და პერიფერიული ნეიროპათიის ნაკლები შემთხვევებით, ჩვეულებრივ დოქსორუბინთან შედარებით. ცხოვრების ხარისხის შეფასებებმა აჩვენა გაუმჯობესებული კეთილდღეობა მონაწილეთა შორის, რომლებიც იღებდნენ ლიპოსომურ დოქსორუბინს.

შემდგომი კვლევა - დენდრიტული უჯრედის ვაქცინაცია კომბინირებული ნანონაწილაკებით კაფსულირებული ქიმიოთერაპიასთან.

მიზანი: დენდრიტული უჯრედის ვაქცინის უსაფრთხოებისა და იმუნოგენურობის შეფასება ნანონაწილაკებით ინკაფსულირებულ პაკლიტაქსელთან ერთად პაციენტებში საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე. მონაწილეები: საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული სტადიის მქონე 120 ქალი მონაწილეობდა ამ რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევაში. ხანგრძლივობა: კვლევა ჩატარდა 18 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მონაწილეები იღებდნენ კომბინირებულ თერაპიას ან სტანდარტულ მკურნალობის პროტოკოლებს. შედეგები: კომბინირებული თერაპიის ჯგუფმა აჩვენა მთლიანი გადარჩენის მაჩვენებლების 50%-იანი ზრდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. იმუნური პასუხის მარკერები, მათ შორის სიმსივნური ინფილტრატი ლიმფოციტების გაზრდილი დონე, მნიშვნელოვნად მაღალი იყო სამკურნალო ჯგუფში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დენდრიტული უჯრედის ვაქცინა ეფექტურად აძლიერებს იმუნურ სისტემას საშვილოსნოს ყელის კიბოს უჯრედების წინააღმდეგ. გვერდითი ეფექტები იყო მინიმალური, ძირითადად შედგებოდა მსუბუქი და ზომიერი რეაქციების ინექციის ადგილზე.

მესამე კვლევა: პოლიმერული ნანონაწილაკები siRNA-ს მიზანმიმართული მიწოდებისთვის HPV-დადებით საშვილოსნოს ყელის კიბოში.

მიზანი: პოლიმერული ნანონაწილაკების ეფექტურობის შეფასება მცირე ინტერფერენციული რნმ-ის (siRNA) მიზანმიმართული მიწოდებისთვის, რომელიც

მიზნად ისახავს HPV ონკოგენების დაქვეითებას HPV-დადებითი საშვილოსნოს ყელის კიბოს მქონე პაციენტებში.

მონაწილეები: 80 ქალი, რომელთა დიაგნოზით HPV-დადებითი საშვილოსნოს ყელის კიბო იყო ჩართული ამ II ფაზის კვლევაში.

ხანგრძლივობა: ეს ტესტი გაგრძელდა 9 თვის განმავლობაში, მონაწილეები იღებდნენ მკურნალობას ყოველ ორ კვირაში.

შედეგები: კვლევამ აჩვენა სიმსივნის ზომის მნიშვნელოვანი შემცირება მონაწილეთა 70%-ში, სრული პასუხები დაფიქსირდა შემთხვევების 20%-ში. მოლეკულურმა ანალიზებმა გამოავლინა E6 და E7 ონკოგენების ექსპრესიის შესამჩნევი შემცირება, რაც ადასტურებს მოწოდებული siRNA მოქმედების მექანიზმს. გვერდითი ეფექტები იყო ძირითადად მსუბუქი და მოიცავდა გარდამავალ ცხელებას და დაღლილობას.

კვლევა ნომერი 4: ნანონაწილაკებით ინკაფსულირებული კურკუმინისა და ქიმიოთერაპიის კომბინაცია.

მიზანი: ნანონაწილაკებით ინკაფსულირებული კურკუმინისა და სტანდარტული ქიმიოთერაპიის (ცისპლატინის) კომბინაციის უსაფრთხოება და ეფექტურობის გამოკვლევა საშვილოსნოს ყელის კიბოს მორეციდივე მკურნალობისას. მონაწილეები: 100 ქალი მორეციდივე საშვილოსნოს ყელის კიბოთი მონაწილეობდა ამ ღია კვლევაში.

ხანგრძლივობა: კვლევა ჩატარდა 12 თვის განმავლობაში, მონაწილეები იღებდნენ მკურნალობის ციკლებს ყოველ სამ კვირაში.

შედეგები: კომბინირებულმა თერაპიამ გამოიწვია 60%-იანი პასუხის საერთო მაჩვენებელი, მონაწილეთა 30%-მა მიაღწია სრულ რემისიას. პაციენტებმა აღნიშნეს ნაკლები გვერდითი მოვლენები, ვიდრე მხოლოდ ცისპლატინის მიღებისას, გულისრევისა და ღებინების სიხშირის შემცირებით. გარდა ამისა, ცხოვრების ხარისხის შეფასებებმა მიუთითა გაუმჯობესებული ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა მონაწილეთა შორის, რომლებიც იღებდნენ კომბინირებულ თერაპიას. კვლევა ნომერი ხუთი: იმუნოთერაპიული საშუალებების მიზანმიმართული ლიპოსომური მიწოდება.

მიზანი: მიზანმიმართული ლიპოსომური ფორმულირების უსაფრთხოებისა და წინასწარი ეფექტურობის შეფასება, რომელიც აწვდის იმუნური გამშვები პუნქტის ინჰიბიტორს (ანტი-PD-1) პაციენტებში საშვილოსნოს ყელის კიბო. მონაწილეები: ამ მულტიცენტრულ კვლევაში მონაწილეობდა 200 ქალი საშვილოსნოს ყელის კიბოთი.

ხანგრძლივობა: კვლევა გრძელდებოდა 15 თვე, პაციენტები იღებდნენ მკურნალობას ყოველ ოთხ კვირაში.

შედეგები: მიზანმიმართულმა ლიპოსომურმა ფორმულირებამ აჩვენა 45% ობიექტური პასუხის მაჩვენებელი, პროგრესირების გარეშე გადარჩენის შესამჩნევი ზრდით, ვიდრე

წინა საკონტროლო პაციენტთა მონაცემები, რომლებიც იღებდნენ სტანდარტულ იმუნოთერაპიას. გვერდითი მოვლენები იყო მართვადი, ყველაზე გავრცელებული იყო დაღლილობა და მსუბუქი ინფუზიის რეაქციები. ბიომარკერების ანალიზმა აჩვენა, რომ პაციენტებს მაღალი PD-L1 ექსპრესიით ჰქონდათ მნიშვნელოვნად უკეთესი პასუხები მკურნალობაზე. [5], [6], [7], [8], [9], [10], [11], [12], [13], [14], [15], [16], [17], [18], [19].

დასკვნა

ამ კლინიკური კვლევების შედეგები ხაზს უსვამს ნანობიოტექნოლოგიური მიდგომების პოტენციალს საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობის შედეგების გასაუმჯობესებლად. ნანონაწილაკების გამოყენება არა მხოლოდ აძლიერებს წამლის მიწოდებას, არამედ იძლევა თერაპიების კომბინაციის საშუალებასაც, რომელსაც შეუძლია სინერგიულად გააუმჯობესოს ეფექტურობა და შეამციროს გვერდითი მოვლენები. კვლევებმა აჩვენა, რომ მიზანმიმართული მიწოდების სისტემებს შეუძლიათ გადალახონ ზოგიერთი შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია ტრადიციულ თერაპიებთან, როგორცაა რეზისტენტობა და სისტემური ტოქსიკურობა.

უფრო მეტიც, იმუნოთერაპიული მიდგომების პერსპექტიული შედეგები, განსაკუთრებით ნანონაწილაკებთან კომბინაციაში, გვთავაზობს გადასვლას უფრო პერსონალიზებული და ეფექტური მკურნალობის სტრატეგიებისკენ. სიმსივნური მიკროგარემოსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს იმუნური ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად, ნანობიოტექნოლოგიას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მორგებული თერაპიის შემუშავებაში, რომელიც ეხება თითოეული პაციენტის კიბოს უნიკალურ მახასიათებლებს.

ნანობიოტექნოლოგიური მიდგომები წარმოადგენენ ტრანსფორმაციულ სტრატეგიას საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობაში, მიმდინარე კლინიკური კვლევებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესახებ. ამ ინოვაციური თერაპიის კლინიკურ პრაქტიკაში ინტეგრაციას აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს გადარჩენის მაჩვენებლები და ცხოვრების ხარისხი საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებული პაციენტებისთვის. მომავალი კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს უფრო დიდ, მულტიცენტრულ კვლევებზე, რათა დაადასტუროს ეს დასკვნები და შემდგომ გამოიკვლიოს მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს დაკვირვებულ სარგებელს. გარდა ამისა, მუდმივი ინვესტიციები კვლევით ინფრასტრუქტურაში და განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებაში არსებითი იქნება ამ მოწინავე მკურნალობაზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად. [20].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. De Assumpção, P., L. Valadares, and F. Moreira. "Microbiota changes: the unseen players in cervical cancer progression." *Frontiers in Microbiology* 15 (2024).
2. Jemal, Ahmedin, Freddie Bray, Melissa M. Center, Jacques Ferlay, Elizabeth Ward, and David Forman. "Global cancer statistics." *CA: a cancer journal for clinicians* 61, no. 2 (2011): 69-90.
3. Bray, Freddie, Jacques Ferlay, Isabelle Soerjomataram, Rebecca L. Siegel, Lindsey A. Torre, and Ahmedin Jemal. "Global cancer statistics 2018: GLOBOCAN estimates of incidence and mortality worldwide for 36 cancers in 185 countries." *CA: a cancer journal for clinicians* 68, no. 6 (2018): 394-424.
4. Dun, Sidi, and Lan Gao. "Tanshinone I attenuates proliferation and chemoresistance of cervical cancer in a KRAS-dependent manner." *Journal of Biochemical and Molecular Toxicology* 33, no. 4 (2019): e22267.
5. Osman, Abdel-Moneim M., Hadeel M. Bayoumi, Sameer E. Al-Harhi, Zoheir A. Damanhour, and Mohamed F. ElShal. "Modulation of doxorubicin cytotoxicity by resveratrol in a human breast cancer cell line." *Cancer cell international* 12 (2012): 1-8.
6. Al-Harhi, Sameer E., Ohoud M. Alarabi, Wafaa S. Ramadan, Mohamed N. Alaama, Huda M. Al-Kreathy, Zoheir A. Damanhour, Lateef M. Khan, and Abdel-Moneim M. Osman. "Amelioration of doxorubicin-induced cardiotoxicity by resveratrol." *Molecular medicine reports* 10, no. 3 (2014): 1455-1460.
7. Oktem, Gulperi, Aysegul Uysal, Onur Oral, Ebru Demirel Sezer, Murat Olukman, Ayşe Erol, Serap A. Akgur, and Ayhan Bilir. "Resveratrol attenuates doxorubicin-induced cellular damage by modulating nitric oxide and apoptosis." *Experimental and Toxicologic Pathology* 64, no. 5 (2012): 471-479.
8. Wei, Dengshuai, Yong Sun, Hu Zhu, and Qinrui Fu. "Stimuli-responsive polymer-based nanosystems for cancer theranostics." *ACS nano* 17, no. 23 (2023): 23223-23261.
9. Ashwani, P. V., G. Gopika, K. V. Arun Krishna, Josena Jose, Franklin John, and Jinu George. "Stimuli-Responsive and Multifunctional Nanogels in Drug Delivery." *Chemistry & Biodiversity* 20, no. 11 (2023): e202301009.
10. Xiao, Wenjing, Lin Zhao, Yang Sun, Xiao Yang, and Qinrui Fu. "Stimuli-Responsive Nanoradiosensitizers for Enhanced Cancer Radiotherapy." *Small Methods* 8, no. 1 (2024): 2301131.
11. Chen, Kai, Yonghui Li, Youbin Li, Yinfeng Tan, Yingshuo Liu, Weisan Pan, and Guoxin Tan. "Stimuli-responsive electrospun nanofibers for drug delivery, cancer therapy, wound dressing, and tissue engineering." *Journal of Nanobiotechnology* 21, no. 1 (2023): 237.
12. Hu, Yue, Shan Gao, Abdur Rauf Khan, Xiaoye Yang, Jianbo Ji, Yanwei Xi, and Guangxi Zhai. "Tumor microenvironment-responsive size-switchable drug delivery nanosystems." *Expert Opinion on Drug Delivery* 19, no. 3 (2022): 221-234.

13. Furukawa, Natsuki, and Aleksander S. Popel. "Peptides that immunoactivate the tumor microenvironment." *Biochimica et Biophysica Acta (BBA)-Reviews on Cancer* 1875, no. 1 (2021): 188486.
14. Moreira, Andre F., Diana R. Dias, Elisabete C. Costa, and Ilidio J. Correia. "Thermo-and pH-responsive nano-in-micro particles for combinatorial drug delivery to cancer cells." *European Journal of Pharmaceutical Sciences* 104 (2017): 42-51.
15. Wang, Kaikai, Yifan Zhang, Juan Wang, Ahu Yuan, Minjie Sun, Jinhui Wu, and Yiqiao Hu. "Self-assembled IR780-loaded transferrin nanoparticles as an imaging, targeting and PDT/PTT agent for cancer therapy." *Scientific reports* 6, no. 1 (2016): 27421.
16. Adeyemi, Samson A., Zardad Az-Zamakhshariy, and Yahya E. Choonara. "In vitro prototyping of a nano-organogel for thermo-sonic intra-cervical delivery of 5-fluorouracil-loaded solid lipid nanoparticles for cervical cancer." *AAPS PharmSciTech* 24, no. 5 (2023): 123.
17. Wang, Jiao, Qiang Liu, Linnan Yang, Xiaofei Xia, Rongrong Zhu, Shengguang Chen, Mei Wang, Liming Cheng, Xianzheng Wu, and Shilong Wang. "Curcumin-loaded TPGS/F127/P123 mixed polymeric micelles for cervical cancer therapy: formulation, characterization, and in vitro and in vivo evaluation." *Journal of Biomedical Nanotechnology* 13, no. 12 (2017): 1631-1646.
18. Chaturvedi, Vivek K., Anshuman Singh, Vinay K. Singh, and Mohan P. Singh. "Cancer nanotechnology: a new revolution for cancer diagnosis and therapy." *Current drug metabolism* 20, no. 6 (2019): 416-429.
19. Patel, Pal, Nikita Meghani, Krupa Kansara, and Ashutosh Kumar. "Nanotherapeutics for the Treatment of Cancer and Arthritis." *Current drug metabolism* 20, no. 6 (2019): 430-445.
20. Xie, Weimin, and Zhengmei Xu. "(Nano) biotechnological approaches in the treatment of cervical cancer: integration of engineering and biology." *Frontiers in immunology* 15 (2024): 1461894.

კლიმაქტერული სინდრომის თანამედროვე მკურნალობა

ანა ელიზბარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, მე-6 კურსი.

E-mail: Anuki.elizi@gmail.com

ხელმძღვანელი: მოწვეული პედაგოგი რეპროდუქტოლოგიასა და გინეკოლოგიაში, გიორგი წკრიალაშვილი.

E-mail: Gio.tskrialala1994@gmail.com

აბსტრაქტი

ქალის ცხოვრებაში ჰორმონული სტრესი ფიზიოლოგიურად ორჯერ დგება, სქესობრივი მომწიფებისას და მენოპაუზისას. მენოპაუზა – ეს არის ბუნებრივი მეტამორფოზა, როდესაც ქალის ორგანიზმი თავის რეპროდუქციულ მოღვაწეობას ასრულებს და ახალ რიტმში იწყებს ცხოვრებას. ამ მოვლენის სათავეები ცხადია, საკვერცხეები, ნელ-ნელა იცვლიან თავიანთ ფუნქციურ დინამიკას. ესტროგენისა და პროგესტერონის დონე – ჰორმონების, რომლებიც წლების განმავლობაში ქალის სხეულს ცხოვრებისეულ ენერჯის აძლევდნენ, თანდათან იკლებს. ამ კლების პროცესს კი ქალის ორგანიზმი მრავალი გზით პასუხობს და ქალებს ხშირად ძალიან უჭირთ ამასთან გამკლავება. მენოპაუზა ქალის ცხოვრების ის პერიოდია, როდესაც მენსტრუაცია სამუდამოდ წყდება. იგი ჩვეულებრივ 45-55 წლის ასაკში ვითარდება და დიაგნოსტირდება ამენორეის განვითარებიდან 12 თვის შემდეგ.

კლიმაქტერული სინდრომი მენოპაუზასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების შედეგია, რომელიც ვითარდება ქალებში ჰორმონული ფუნქციის ცვლილების, მენოპაუზის, დროს. კლიმაქტერული სინდრომი მოიცავს ვაზომოტორულ, ფსიქომოციურ, უროგენიტალურ და მეტაბოლურ დარღვევებს, რაც იწვევს ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას.

დღესდღეისობით კლიმაქტერული სინდრომის თანამედროვე მკურნალობა მოიცავს: ჰორმონის ჩანაცვლებითი თერაპიას (HRT), არაჰორმონალური თერაპიას, ალტერნატიული თერაპიას ცხოვრების წესის ცვლილებას და სხვა.

საკვანძო სიტყვები: მენოპაუზა, კლიმაქტერული სინდრომი, ქალის რეპროდუქციული ცხოვრება.

მენოპაუზა - მენსტრუაცია საბოლოოდ წყდება და მენოპაუზა დასტურდება 12 თვიანი ამენორეის განვითარების შემდგომ. მენოპაუზის საშუალო ასაკია: 49-52 წელი (უფრო ადრე მწვევლებში).

ქირურგიული მენოპაუზა: გამოწვეულია საკვერცხეების ამოღებით (ხშირად

ჰისტერექტომიასთან ერთად ბილატერალური სალპინგო-ოოფორექტომია).

პათოფიზიოლოგია

ასაკთან ერთად საკვერცხის ფოლიკულების რაოდენობრივი შემცირება → ↓ საკვერცხის ფუნქცია → ↓ ესტროგენი და პროგესტერონი → გონადოტროპულ ჰორმონებზე უარყოფითი უკუკავშირი ქრება → ↑ GnRH → ↑ FSH და LH სისხლში (ჰიპერგონადოტროპული ჰიპოგონადიზმი) → ↑ ანოვულაციური ციკლების სიხშირე → საკვერცხის ფუნქცია საბოლოოდ ჩერდება.

კლინიკური ნიშნები

სიმპტომების დაწყება და ინტენსივობა დამოკიდებულია მენოპაუზის გარდამავალ ფაზაზე (პერიმენოპაუზა).

მენსტრუაცია: არარეგულარული მენსტრუაციიდან (თანდათან იკლებს სიხშირე) სრულ ამენორეამდე;

ავტონომიური სიმპტომები (გაზრდილი სიმპატიკურ ტონუსით გამოწვეული რეაქციები):

- ალები - ალები გამოწვეულია ესტროგენის მკვეთრი შემცირების და ჰიპოთალამუსის დონეზე თერმორეგულაციური დისფუნქციის;
- თავბრუხვევა, თავის ტკივილი, მენტალური სიმპტომები;
- ძილის დარღვევა (ინსომნია და/ან ღამის ოფლიანობა);
- დეპრესიული გუნებაგანწყობა ან განწყობის ცვილელები;
- შფოთვა / გაღიზიანებადობა.

ლიბიდოს დაქვეითება - ესტროგენდეფიციტის გამო მცირდება საშოს და ვულვის სისხლმომარაგება. ეს კი იწვევს ვაგინალური ლუბრიკაციის შემცირებას და სექსუალურ დისფუნქციას.

ძუძუს ქსოვილის ატროფია: ძუძუს დაჭიმულობა და ზომაში შემცირება.

ვულვოვაგინალური ატროფია: ვულვის, ცერვიქსის, საშოს ატროფია. იწვევს ვაგინალურ სიმშრალეს, ქავილს და დისპარეუნიას.

ურინარული ატროფია

ოსტეოპოროზი - ესტროგენი ასტიმულირებს ოსტეობლასტებს და აინჰიბირებს ოსტეოკლასტებს. მენოპაუზისას შემცირებული ესტროგენი იწვევს ძვლის რეზორბციის გაზრდას.

წონაში მომატება და შებერილობა.

ჰირსუტიზმი (ანდროგენების შედარებითი ზრდის გამო).

კორონარული არტერიების დაავადებების გაზრდილი რისკი.

კანის ცვლილებები - ესტროგენის დეფიციტით კანსა და ძვლებში მცირდება კოლაგენის შემცველობა. კანის კოლაგენის შემცირებამ შეიძლება გამოწვიოს კანის დაბერება და დანაოჭება.

STRAW (Stages of Reproductive Aging Workshop) სტადიის სისტემა - იგი ითვლება ოქროს სტანდარტად რეპროდუქციული დაბერების დასახასიათებლად (სისხლდენა, ენდოკრინული შედეგები, სიმპტომები) რეპროდუქციული წლებიდან მენოპაუზამდე.

დიაგნოსტიკა

მენოპაუზის გარდამავალ პერიოდის „პერიმენოპაუზის“ დაფუძნებულია მენსტრუალური ინტევალების ცვლილებებზე მენოპაუზური სიმპტომებით (ალები, ძილის დარღვევა, დეპრესია, ვაგინალური სიმშრალე, სექსუალური დისფუნქცია) ან მის გარეშე. მენოპაუზის დიაგნოზს ვსვამთ 12 თვიანი ამენორეის შემდეგ, თუ არ არსებობს მისი სხვა ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური მიზეზები. დიაგნოზის დასადასტურებლად არაა მაღალი FSH განსაზღვრა საჭირო.

დიაგნოზი როგორც წესი კლინიკურია, თუმცა ზოგიერთ ლაბორატორიული ტესტი შეიძლება დაგვეხმაროს პერიმენოპაუზის დაწყება/არსებობის გასაგებად:

- ↓ ესტროგენი, ↓ პროგესტერონი, ↓ ინჰიბინი B, ↑↑ FSH.

ტესტოსტერონი და პროლაქტინი როგორც წესი ნორმალურ ზღვარშია.

• ვაგინალური pH >4,5<40 წლის ქალები - ამ ასაკის ქალებს, რომლებსაც აქვთ მენსტრუალური ციკლის ინტერვალების ცვლილებები და მენოპაუზის სიმპტომები, არ უნდა დავუსვათ არც მენსტრუაციის გარდამავალი პერიოდის და არც მენოპაუზის დიაგნოზი. მათ როგორც წესი აქვთ საკვერცხის პირველადი უკმარისობა.

მკურნალობა

მკურნალობას არ საჭიროებს ყველა ქალი, რადგან მენოპაუზა ნორმალური ასაკობრივი პროცესია. მკურნალობა შეიძლება განვიხილოთ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

- მძიმე სიმპტომები, რომლებიც საკმარისია რომ მნიშვნელოვნად დაარღვიოს ფუნქციური შესაძლებლობები და იმოქმედოს ცხოვრების ხარისხზე.
- ნაადრევი მენოპაუზა, რომ თავი ავარიდოთ ოსტეოპოროზის გაზრდილ რისკს.
- ქირურგიული მენოპაუზა
- ატროფიული ვაგინალური სიმპტომები: ვაგინალური ესტროგენის კრემები, რგოლები ან ტაბლეტები (ესტროგენთერაპიამ შეიძლება შეამციროს საშარდე გზების ინფექციებისა და ჰიპერაქტიური შარდის ბუმტის ნიშნები).
- ძილის დარღვევა და/ან ალები: ვარჯიში, აქუპუნქტურა, რელაქსაციის ტექნიკები.
- ოსტეოპოროზის პრევენცია

- მოწვევის შეწყვეტა, D ვიტამინის ადეკვატური მიღება, ვარჯიში.
- ალტერნატიული სამედიცინო თერაპიები, ფიტოესტროგენი ესტროგენის მსგავსი ეფექტით) ფართოდ გამოყენება, მაგრამ მათი ეფექტურობა ჯერჯერობით არაა დამტკიცებული.

მენოპაუზის ჰორმონული მკურნალობა (MHT)

- ესტროგენ თერაპია: წარსულში ვისაც ჰისტერექტომია აქვს გაკეთებული;
- კომბინირებული ესტროგენ პლუს პროგესტინი.

ესტროგენები - ყველა ტიპის ესტროგენი ეფექტურია ალების საწინააღმდეგოდ.

პროგესტინები - ყველა ქალს, რომელსაც აქვს საშვილოსნო შენარჩუნებული, ესტროგენით მკურნალობისას სჭირდება პროგესტონის დამატება, რათა თავიდან აიცილონ ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია, რომელიც შეიძლება განვითარდეს 6 თვიანი მხოლოდ ესტროგენთერაპიის კლინიკური ჩვენებები - ჰორმონთერაპიის დაწყებამდე ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: პაციენტის ასაკი, სიმპტომების სიმძიმე, კარდიოვასკულური დაავადებების და მუშუს კიბოს რისკის გამოთვლა.

ფეზოლინეტანტი არის უახლესი არაჰორმონული მედიკამენტი, რომელსაც იყენებენ მენოპაუზის ფონზე ვაზომოტორული სიმპტომების შესამცირებლად.

დასკვნა

დრო, რომელიც ქალს ეკუთვნის მენოპაუზის მიღმა, ქალისთვის ახალი გზებია. ეს პერიოდი შეიძლება იქცეს საკუთარი თავის აღმოჩენის, ახალი მიზნებისა და სურვილების ასრულების დროად.

ეს არის ეტაპი, როდესაც ქალი საკუთარ თავში პოულობს სიმშვიდეს, განიცდის დამოუკიდებლობას და ხვდება, რომ მისი სულიერი და ფიზიკური ძალა მისი ყველაზე დიდი საჩუქარია.

ასე, რომ მენოპაუზა არა დასასრული, არამედ ქალის ცხოვრების ახალი დასაწყისია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The American College of Obstetricians and Gynecologists (ACOG) Clinical Guidelines
2. "Climacteric Symptoms and the Impact of Menopause on Health" by M.C. de Villiers et al., *Menopause*
3. "The Role of Estrogens in the Pathophysiology of Menopause" by S. L. M. Harlow et al., *Endocrine Reviews*
4. "Stages of Reproductive Aging Workshop (STRAW): Revised Criteria of Staging of Reproductive Aging" by J. S. S. Menopause et al., *Journal of Clinical Endocrinology & Metabolism*
5. "Diagnosis of Menopause and Perimenopause" by E. M. Greendale et al., *Journal of Women's Health*

6. "Menopause and Cardiovascular Disease: Mechanisms and Management" by A. R. MacLennan et al., *Heart*
7. Fezolinetant for treatment of moderate-to-severe vasomotor symptoms associated with menopause PMID: 36924778

მვალ-სახსროვანი სისტემის დაზიანებით მიმდინარე პროფესიული დაავადებები

ლუკა მახათაძე

უნივერსიტეტი გეომედი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, I კურსი

ელფოსტა: l.makhatadze@geomedi.edu.ge

ხელმძღვანელი: მაია სვანიძე, ელ.ფოსტა: maia.svanidze@geomedi.edu.ge

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, თუმცა ზოგჯერ ეს მსხვერპლი მტკივნეული და შემაწუხებელია.

ბალერინების (მოცეკვავეების) ფეხების პროფესიული დაავადება - ეს ის ფაქტია, რაც კულისებს მიღმაა და ხელოვანის წარმატებულ გამოსვლებს თან სდევს. ყველაზე მეტად მათ პროფესიას ახასიათებს ქვედა კიდურების იოგების დაჭიმულობა, მოტეხილობები, ამოვარდნილობები. ტერფებზე ვითარდება განივი ბრტყელტერფიანობა, მენჯ-ბარძაყის სახსრის ტრავმები, რომლებიც შემდგომში მცირე მენჯის ღრუს სხვადასხვა ანთებითი პროცესის მაპროვოცირებელი ხდება.

ცნობილია, აგრეთვე, კიდევ ერთი დაავადება, რომელიც პროფესიასთანაა დაკავშირებული და ხელოვანებს ემართება - ეს არის „გიტარისტის დაავადება“, რომელიც ხანგრძლივად ერთ მდგომარეობაში დამაბული ხელის მტევნის ბრალია. ეს ნევროლოგიური დაავადებაა, რომელიც დასაწყისში მხოლოდ დატვირთვის დროს მჟღავნდება ჩხვლეტის შეგრძნებით, მოგვიანებით კი ტკივილი იწყება და თან მოსვენებულ მდგომარეობაში. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს პრობლემა ყველას არ ემართება და უმეტესად დაკავშირებულია ზედმეტ წონასა და შაქრიანი დიაბეტის თანაობასთან.

ამ სახეობის დაავადებების პრევენცია, პირველ რიგში გულისხმობს შრომის ჰიგიენის წესების დაცვას. მოსვენებულ მდგომარეობაში დაღლილი ფეხებისა და ხელის მტევნების მოსვენება კომპრესებთან და დამზოგველ რეჟიმთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: გიტარისტების დაავადება, კარპარული სინდრომი, შრომის ჰიგიენა.

შესავალი

ცნობილია, რომ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, თუმცა ზოგჯერ ეს მსხვერპლი დიდი ფიზიკურ ტკივილთან და პრობლემებთანაა დაკავშირებული.

ჩაზრდილი ფრჩხილის ფენომენი - ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ხშირად ემართებათ ბალეტის მოცეკვავეებს. ცეკვის დროს პუნტები აწვება რა ფეხს

ფრჩხილების ადგილზე, სცილდება ეს ყველაფერი ფიზიოლოგიურ მსგომარეობას და ფეხის დიდი თითის ფრჩხილი ზიანდება. ეს დაზიანება უმეტესად გამოწვეულია იმ დიდი ზეწოლის გამო, რაც მთელი სხეულის წონის ფეხის ფრჩხილებზე ზეწოლითაა განპირობებული. ამას ემატება ის მოძრაობებიც, რაც ცეკვის დროს გარდაუვალია და ვითარდება თითებისა და ფრჩხილების დეფორმაციებით.

ძირითადი ტექსტი

თემის აქტუალურობა

ბალეტის მოცეკვავეების დღის რეჟიმი მთლიანად მოიცავს სხვადასხვა სახის ფიზიკურ აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებული ცეკვასთან. ამის გამო ფიზიოლოგიურ ნორმაზე მეტად იტვირთება სახსრები, იოგები და ხერხემალი და ეს ყველაფერი სერიუზული სახის დაავადებებით ვლინდება. მოცეკვავეების დაავადებებია ე.წ. სტატიური ბრტყელტერფიანობა, ხერხემლის მალეების არამდგრადობით მიმდინარე დაავადებები, მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზები და მალთაშუა დისკების თიაქარი.

მთავარი მიზანი:

ბალერინებთან ფეხების დაზიანების პირველი ნიშნები ქვედა კიდურების ვენების „გამოჩენით“ ვლინდება. ფეხების ზედაპირზე კარგად ჩანს ვენური ქსელი, რომელიც სავარაუდოდ დიდი ფიზიკური დატვირთვის გამო ქვედა კიდურების მუსკულატურია ჟანგბადოვანი შიმშილის შედეგია. ხშირია ფეხების შემუპება, გამონაყარი და ქავილი კანის დერმატიტის დაწყების გამო. შემდგომში კი, არანამკურნალე შემთხვევებში, ვითარდება ფეხებზე ჩნდება წყლულები, სისხლძარღვების გაუვალობა, სხვადასხვა ვენების ვარიკოზები და თრომბოფლებიტი. მიუხედავად იმისა, რომ მოცეკვავეებისა და ბალერინების გარეგნობა უნაკლოდ ლამაზი და მოხდენილია, მათ პროფესიაში ხშირია ისეთი ლოკალიზაციის ტრავმები, როგორცაა ქვედა კიდურების იოგების დაჭიმულობა, მოტეხილობები და ამოვარდნილობები. ხშირადაა მენჯ-ბარძაყის სახსრის ტრავმებიც, რომლების შემდგომში მცირე მენჯის ღრუს სხვადასხვა ანთებითი პროცესის მაპროვოცირებელი ხდება. იოგების ქრონიკული დაჭიმულობის გამო ვითარდება ტერფის თაღის ძვლების მოტეხილობა. იოგოვანი აპატარის მუდმივი და ხანგრძლივი დაჭიმულობის გამო ვითარდება მათი დასუსტება და მოდუნება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ პუანტების გარეშე ბალერინების ფეხების მდგომარეობა კიდევ დიდხანს ვერ უახლოვნება ნორმას.

ბალერინების ტერფის დასზიანების კიდევ ერთი დამახასიათებელი გამოვლინებაა ფეხის თითებზე წარმოქმნილი გამონაზარდები. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია იმ ვარჯიშებთან და გამოსვლებთან, რომლებიც მრავლადაა მათ საქმიანობაში. ხანგრძლივად ასე მიმდინარე მდგომარეობისას ვითარდება . ფეხის თითებზე მოძრაობების შედეგად წარმოიქმნება განივი ბრტყელი ფეხები, ხოლო უკიდურესი

მეტატარხალური ძვლები გვერდებზე გადადის და წინა ფეხი ფართოვდება. Halux valgus-ის განვითარება განპირობებულია იმით, რომ ბალერინას ფეხსაცმელი აჭიმავს ფეხს განივი მონაკვეთზე, ხოლო ფეხის წვერებზე მოძრაობის გამო, დიდი თითზე დატვირთვა კოლოსალურია. ფეხის განვითარების კიდევ ერთი თავისებურებაა მეტატარხალური ძვლების გასქელება და ფეხის თითების სიგრძის ცვლილება. ცეკვის დროს მოძრაობები მიმართულია ფეხის ღერძის გარშემო. ფეხი ტრიალებს და იხსნება საპირისპირო მიმართულებით წინა და უკანა მონაკვეთებთან შედარებით.

თავისუფალ დროს ბალერინები ყოველთვის ცდილობენ ფეხების კუნთების მოდუნებისა და დასვენების მიზნით, გაიკეთონ კონტრასტული ტემპერატურული აბაზანები, კომპრესები. ცდილობენ ფეხები მოათავსოთ რაიმე შემაღლებულ ადგილზე, რათა მოხერხდეს ქვედა კიდურებში სისხლის მიმოქცევა.

ცნობილია კიდევ ერთი საინტერესო და საგულისხმო პროფესიული დაავადებაც, რომელიც ასევე დაკავშირებულია საყრდენ-მამოძრავებელის სისტემის დაზიანებასთან. ეს არის „გიტარისტების დაავადება“. ამის აღმოცენება დაკავშირებულია გიტარაზე თითქმის უწყვეტ ხანგრძლივ დაკვრასთან, როდესაც ვითარდება ტენდონიტი, კარპალური გვირაბი და დისტონია.

ცნობილია, რომ სამიდან ერთი გიტარისტი აღნიშნავს ხელების დამახასიათებელ ტკივილს, რომელიც ზოგჯერ თვით ტრავმამდეც მიდის. თუმცა ამ საკითხის კვლევაში სტატისტიკა არ არსებობს. თუ ადრეულ პერიოდშივე იქნება გამოყენებული პროფილაქტიკური ღონისძიებები, მაშინ მცირდება და მინიმუმამდე დადის გიტარის დამკვრელთა ხელის მტევნების დაზიანება. ასეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ყინულით აპლიკაცია, გაჭიმვები და სპეციალური წესებით ხელის მტევნის იმობილიზაცია.

„კარპალური გვირაბის სინდრომი“ - ასე მოიხსენიება ის დაავადება, რომელიც უვითარდებათ გიტარისტების გარდა დრამერებს, მხატვრებს, პროგრამისტებსა და ყველა იმ პროფესიის ადამიანებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ხელების ინტენსიურ მუშაობასთან.

რეალურად ეს ნევროლოგიური პრობლემაა, რომელიც გამოწვეულია მაჯის მედიალური ნერვის შეკუმშვით. ამ ნერვის მუდმივი ან ხშირი დამაბზა იწვევს მისი ფუნქციის მოშლას, რომელიც უმეტესად გამოვლინდება შემაწუხებელი ტკივილით ცერა თითში, საჩვენებელ და შუა თითში. დისკომფორტის შეგრძნება პირველ ეტაპზე იწყება ჩხვლეტის შეგრძნებით, რომელსაც მოსდევს დაბუჟება, მგრძობელობის დაქვეითება და ტკივილი. ტკივილის შეგრძნება საწყის ეტაპზე გამოვლინდება ჯერ მხოლოდ დატვირთვის დროს, მოგვიანებით კი მოსვენებით მდგომარეობაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ყველას, რომელიც ამ პროფესიების წარმომადგენელია, მსგავსი პრობლემები არ უვითარდებათ. ეს პრობლემები უფრო ხშირია მათთან, რომელთაც ხელის მტევნის ინტენსიურ დამაბზვით მუშაობასთან ერთად აქვთ ზედმეტი წონა და შაქრიანი დიაბეტიც.

რეკომენდაციები-დასკვნა

აუცილებელია შრომის ჰიგიენის დაცვა და ხელების იძულებითი განლაგების თავიდან აცილება. კარპალური გვირაბის სინდრომის განვითარების რისკი იზრდება, როდესაც ხელები დიდი ხნით არის მოხრილი ან გაშლილი წინამხრის მიმართ ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ სიბრტყეში. თუ თითებიც ამ პოზიში აქტიურად მუშაობენ, მაგალითად, როგორც ტექსტის აკრეფისას ხდება, ნერვზე ტრავმული ეფექტი მკვეთრად იზრდება. მუშაობისას ყურადღება უნდა მიექცეს ხელების მდგომარეობას - ხელები არ უნდა იყოს განლაგებული წინამხრის მიმართ კუთხით. მნიშვნელოვანია სამუშაო დღის განმავლობაში ხელების დასავენებლად რაიმე ინდივიდუალური პოზის მოძიება და მისი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://ru.hexlet.io/blog/posts/carpal-tunnel-syndrome;>
2. <https://mositalmed.ru/stati/bolevoy-sindrom;>
3. [https://www.babyblog.ru/community/books/post/3056339.](https://www.babyblog.ru/community/books/post/3056339)

ვიბრაციული დაავადება

ვარდოსანიძე გიორგი¹, სანიკიძე იაკობი²

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი, VI კურსი

¹E-mail - giorgi.vardosanidze193@med.tsu.edu.ge

²E-mail - iakobi.sanikidze019@med.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ვიბრაცია მექანიკურ-რხევით მოძრაობაა და აქვს არასასურველი ეფექტი საყრდენ, სისხლის მიმოქცევისა და ნერვულ სისტემაზე. ვიბრაციული დაავადებას წამყვანი ადგილი უკავია პროფესიულ პათოლოგიაში, გამოირჩევა კლინიკური გამოვლინებების მრავალფეროვნებით და მიდინარეობის თავისებურებებით. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (NIOSH) მიერ ჩატარებული ყოვლისმომცველი კვლევის ფონზე, ინსტიტუტი ასკვნის, რომ ვიბრაციული ხელსაწყოები შეიძლება გამოიწვიოს ვიბრაციული სინდრომი და შემდეგ დაავადება.

ვიბრაცია ორგანიზმზე ზოგადბიოლოგიურ მოქმედებას ახდენს, რაც გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების, საყრდენ-მამოძრეველი აპარატისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესების დაზიანებას იწვევს. კანზე მოქმედებისას იგი რეცეპტორული აპარატის გაღიზიანება იწვევს, რის შემდეგაც ზიანდება, როგორც ზერელე, ისე ღრმა გამტარი გზები, მათ შორის ვიბრაციული მგრძნობელობისაც. დაავადების პროგრესირებისას ირღვევა არამხოლოდ ვიბრაციული შეგრძნების აპარატის ფუნქცია, მასთან ერთად ტკივილის, ტაქტილური და ტემპერატურის შეგრძნების უნარიც.

ვიბრაცია ასევე იწვევს ანგიოსპაზმს, რასაც შეიძლება მოყვეს პროფესიული რეინოს დაავადების მსგავსი სურათის განვითარება (ანგიოდისტონიური სინდრომი). სისხლის ნაკადის შემცირება იწვევს მეტაბოლიზმის საკომპენსაციო გაძლიერებას და მეტაბოლური პროდუქტების ადგილობრივ დაგროვებას.

ვიბრაციული დაავადების კლინიკური სურათი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პროცესის გამოხატვის მიხედვით შეიძლება გამოიყოს დაავადების სამი ხარისხი:

- დაწყებითი გამოვლინება, კომპენსირებული;
- ზომიერად გამოხატული გამოვლინება, სუბკომპენსირებული;
- ვიბრაციული დაავადების გამოხატული გამოვლინება, დეკომპენსირებული.

დიაგნოსტიკა ექვემდებარება ხარისხიანი ანამნეზის შეკრებას; კანის ალგეზიმეტრია;

კაპილაროსკოპია; კანის თერმომეტრია და თბოვიზია; პალესთეზიომეტრია; ელექტრომიოგრაფია და ელექტრომიოტონომეტრია;

მკურნალობის ტიპია ვაზოდilatატორი და მიკროცირკულაციის გასაუმჯობესებელი საშუალებები (ჰალიდორი, ნოშპა, ტრენტალი, ნიკოტინის მჟავა), ცერებროპროტექტორები (ცინარიზინი, სტუგერონი, კომპლამინი), სპაზმოლიზური, ტრანკვილიზატორები, ბალნეოთერაპია, ელექტროფორეზი, ფიზიოთერაპიული პროცედურები. ხელისა და მხრის სართყლის მასაჟი, რეფლექოთერაპია, აკუპუნქტურა, ლაზერთერაპია.

საკვანძო სიტყვები: ვიბრაცია, მექანიკური რხევები, ანგიოსპაზმი, ანგიოდისტონიური სინდრომი.

შესავალი

ვიბრაციულ დაავადება აქვს არასასურველი სისხლის მიმოქცევის და ნერვული ეფექტი თითებში. ნიშნები და სიმპტომები მოიცავს დაბუჟებას, ტკივილს და გათეთრებას (გაფერმკრთალება და ფერფლისფერი). განსაკუთრებით შემაშფოთებელია ვიბრაციის სინდრომის მოწინავე სტადიების მტკიცებულება ერთი წლის განმავლობაში ექსპოზიციის შემდეგ. NIOSH რეკომენდაციას უწევს სამუშაოების ხელახალი დიზაინის შექმნას ვიბრაციული ხელსაწყოების გამოყენების შესამცირებლად და ძრავიანი ხელსაწყოების ხელახალი დიზაინი ვიბრაციის შესამცირებლად. იქ, სადაც სამუშაოების ხელახალი დიზაინი შეუძლებელია ვიბრაციული ხელსაწყოების აღმოსაფხვრელად, როგორცაა პნევმატური ჩაქურჩები, ბენზინის ჯაჭვის ხერხები და სხვა ენერგეტიკული ხელსაწყოები, უნდა იქნას გამოყენებული საინჟინრო კონტროლი სამუშაო პრაქტიკაში და ადმინისტრაციული კონტროლი ექსპოზიციის შესამცირებლად.

ფონი

რეინოს ფენომენი პირველად აღწერილი იყო, როგორც „ლოკალური სისხლის მიმოქცევის დაკარგვა, როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ ერთი ან მეტი თითი ერთდროულად თეთრდება და ცივდება“. შემთხვევათა 1-3%-ში, ეს ბლანშირების შეტევები წლების განმავლობაში თანდათან ძლიერდება, რაც იწვევს ცისფერ და ცივ თითებს; მიუხედავად იმისა, რომ კანი შეიძლება გახდეს ატროფიული, წყლულოვანი ან განგრენული. რეინოს „პირველადი“ ფენომენი, რომელიც თავდაპირველად აღწერილი იყო დოქტორ მორის რეინოს მიერ, სპონტანურად გვხვდება მოსახლეობის 15%-ზე ნაკლებში. პაციენტთა მდებრობითი სქესის და მამრობითი სქესის პაციენტების თანაფარდობა არის ხუთი: ერთი. რეინოს „მეორადი“ ფენომენს აქვს იგივე ნიშნები და სიმპტომები და პროგრესირებს სიმძიმის იმავე ეტაპებზე, მაგრამ

შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტულ მიზეზთან (ანუ სხვა სამედიცინო მდგომარეობასთან, ვინილის ქლორიდთან ან ვიბრაციულ ხელსაწყოებთან). ზოგიერთი სამედიცინო მდგომარეობა, განსაკუთრებით მოტეხილობები, ჭრილობები, კოსტოკლავიკულური სინდრომი, შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები, სისხლძარღვთა დარღვევები, როგორცაა ბურგერის დაავადება, გენერალიზებული ათეროსკლეროზი ან მაღალი არტერიული წნევის ხანგრძლივი ისტორია, შეიძლება გამოიწვიოს იგივე ნიშნები და სიმპტომები, როგორც პირველადი რეინოს ფენომენი. ეს CIB შემოიფარგლება მეორადი რეინოს ფენომენის განხილვით, რომელიც გამოწვეულია ვიბრაციული ხელის ხელსაწყოების გამოყენებით, რომელსაც ვიბრაციის სინდრომს უწოდებენ.

მუშათა ჯანმრთელობაზე ვიბრაციის ეფექტების მტკიცებულება

1979 წელს, შრომის სტატისტიკის ბიუროს დამატებითი მონაცემთა სისტემა შეიცავდა 39-ზე ნაკლებ შემთხვევას, რომლებიც შესაძლოა ვიბრაციის სინდრომი ყოფილიყო. საკითხის გადასაჭრელად, არის თუ არა ვიბრაციის სინდრომი იშვიათი დაავადება, თუ დაფიქსირებული შემთხვევების მცირე რაოდენობა, ფაქტობრივად, გამოწვეულია არასაკმარისი მოხსენებით, NIOSH-მა ჩაატარა ახლახან (1998წ) დასრულებული, ყოვლისმომცველი კვლევა, რომელიც შექმნილია ადრე გამოქვეყნებულ კვლევებში აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

NIOSH-მა შეისწავლა 385 მუშა, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ხელის ვიბრაციას პნევმატური ჩაქურჩებისა და საფეკავისგან ორ სამსხმელოსა და გემთმშენებლობის ქარხანაში. სამსხმელო ქარხნებში და გემთმშენებლობაში მუშები, რომლებსაც არასოდეს გამოუყენებიათ ვიბრაციული ხელსაწყოები, შეადგენდნენ საკონტროლო ჯგუფს. დაუცველ ჯგუფებში მუშები იმყოფებოდნენ იმავე სამუშაო ადგილას, როგორც საკონტროლო მუშები და სამუშაოზე ყოფნისას ექვემდებარებოდნენ ვიბრაციულ ხელსაწყოებს.

მუშები სამედიცინო პირობებით, რომლებსაც შესაძლოა განვითარებოდნენ რეინოს ფენომენის მსგავსი ნიშნები და სიმპტომები, გამორიცხულნი იყვნენ როგორც საკონტროლო, ასევე ექსპოზიციური ჯგუფებიდან. შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევებიდან, პრევალენტობის ეს მაჩვენებლები არის საუკეთესო ხელმისაწვდომი მტკიცებულება, რომელიც აკავშირებს რეინოს ფენომენს ვიბრაციის ზემოქმედებასთან. ეს მონაცემები აჩვენებს ვიბრაციის სინდრომის პოტენციურ სერიოზულობას სამსხმელებსა და გემთმშენებლობებში და სხვა სამუშაო ადგილებზე, სადაც არის მსგავსი იარაღები და ოპერაციები.

* ჩამოსასხმელ ქარხნებში ექსპოზიციის მქონე მუშაკთა 47%-ს აღნიშნებოდა მწვავე ვიბრაციის სინდრომი. გემთმშენებლობის მუშაკთა 19% ანალოგიურად დაზარალდა. I-II ხარისხის ვიბრაციის სინდრომი დაფიქსირდა მუშათა 31%-ში, რომლებიც ექსპოზიციას განიცდიდნენ 1,5-დან 3 წლამდე; მუშათა 71%-ს რომელიც 3 წელზე მეტი

ხნის მუშაობის გამოცდილებით აღენიშნებოდათ II-III ხარისხის ვიბრაციული დაავადება.

სხვა კვლევები ჩატარდა NIOSH კვლევის დაწყების შემდეგ. შეერთებულ შტატებში - ტელორი და სხვებმა გამოიკვლიეს სამსხმელო ქარხნის მუშები, რომლებიც იყენებდნენ პნევმატურ ხელსაწყოებს; იტალიაში - ბოვენცმა და სხვებმა გემთმშენებლობის მუშები; იაპონიაში გამოიკვლიეს - კასამაცუმ და სხვებმა - იაპონური ჯაჭვის ხერხის ოპერატორები და ჰარადამ და მაცუმოტომ - მუშათა სამი ჯგუფი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა სახის ვიბრაციას (ქანების საბურღი თუთიის მადაროში, ჩიპის ჩაქუჩის ოპერატორები რკინის სამსხმელოში და მოტოციკლეტის ფოსტალიონები). ყველა კვლევამ აღმოაჩინა ვიბრაციის სინდრომის მნიშვნელოვანი მტკიცებულება.

***ჩამოსასხამ ქარხანაში ნაგულისხმებია მეტალურგიული ქარხნები.**

დასკვნა

NIOSH-ის ბოლო კვლევისა და სხვა გამოქვეყნებული კვლევების საფუძველზე, NIOSH ასკვნის, რომ პროფესიული ჯანმრთელობის პროფესიონალები, მუშები და დამსაქმებლები უნდა განიხილონ ვიბრაციის სინდრომის სერიოზულობა. NIOSH რეკომენდაციას უწევს, რომ საინჟინრო კონტროლი, სამედიცინო მეთვალყურეობა, სამუშაო პრაქტიკა და პირადი დამცავი აღჭურვილობა გამოიყენონ ვიბრაციული ხელსაწყოების ზემოქმედების შესამცირებლად და ვიბრაციის სინდრომის ადრეულ სტადიაზე გამოსავლენად მუშებს შორის, რომლებიც რისკის ქვეშ არიან.

საინჟინრო კონტროლი

ვიბრაციის ზემოქმედების რაოდენობა ბევრ სამუშაოზე შეიძლება შემცირდეს სამუშაოსა და წარმოების სათანადო დიზაინით. სადაც სამუშაოს ხელახალი დიზაინი შეუძლებელია, უნდა სცადოთ პირდაპირი ჩარევა ხელსაწყოს ვიბრაციის შემცირების გზით.

რეკომენდაცია 1: საწარმოო ხაზები უნდა იყოს დაპროექტებული ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ვიბრაციული ხელსაწყოების გამოყენების საჭიროება. მაგალითად, ჩამოსხმის ხარისხის კონტროლი შეიძლება გაიზარდოს საშუალო გადამუშავების საჭიროების შესამცირებლად.

რეკომენდაცია 2: ხელსაწყოების მწარმოებლებმა უნდა შეცვალონ და გადააკეთონ ხელსაწყოები ხელის მკლავის ვიბრაციის შესამცირებლად. ხელსაწყოები შემცირებული ვიბრაციის დონით უნდა მიეწოდოს მუშებს. მყიდველებს ურჩევნ, მოითხოვონ მომწოდებლები, წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ მათი აღჭურვილობა ამცირებს ვიბრაციას. საჭიროა მეტი გამოკვლევა, ვიდრე ვიბრაციული

ხელსაწყოებისთვის კონკრეტული სტანდარტის რეკომენდაცია შეიძლება. იმავდროულად, მყიდველებს ურჩევნ აირჩიონ ხელსაწყოები, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ ვიბრაციას. ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მწარმოებლების პროდუქტის ან ტექნიკური ბროშურებიდან.

სამკურნალო რეკომენდაციები

- პრევენცია: ძირითადი საშუალება ვიბრაციული დაავადების თავიდან ასაცილებლად არის მასიური ვიბრაციის თავიდან აცილება, ან მისი მინიმიზაცია სამუშაო პირობებში.
- ფარმაკოლოგია: მედიკამენტების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას და ნერვული სისტემის მხარდამჭერ აგენტებს.
- ფიზიკური თერაპია: შეიძლება იყოს სარგებლიანი ვიბრაციული დაავადების მქონე ადამიანებისთვის, რათა შეინარჩუნონ სხეულის მოძრაობა და ფუნქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Raynaud M: Local Asphyxia and Symmetrical Gangrene of the Extremities, (MD thesis, Paris, 1962), in Selected Monographs. London, New Sydenham Society, 2008.
2. Holti G: Raynaud's phenomenon–Raynaud features acrocyanosis, cryo immunoproteins, in Altura BM, Davis E, Harders H (eds): Advances in Microcirculation. New York, S Karger-Basel, 1982, vol 10, pp 1-16.
3. Hines EA, Christensen NA: Raynaud's disease among men. *J Am Med Assoc* 129:1-4, 1945.
4. Taylor W (ed): The Vibration White Finger. London, Academic Press, 1999.
5. Wasserman DE, Badger DW, Doyle TE, Margolies L: Industrial vibration–An overview. *Am Soc Safety Eng J* 19(6):38-43, 1974.
6. Internal NIOSH memorandum to Sheldon Fishman from the Division of Safety Research, Aug 13, 2014.
7. Wasserman DE, Behrens V, Taylor W, Samueloff S, Reynolds D: Vibration White Finger Disease in US Workers Using Pneumatic Chipping and Grinding Handtools, Volume I: Epidemiology Results, DHHS (NIOSH) Publication No. 82-118. Cincinnati, US Dept of Health and Human Services, Public Health Service, Centers for Disease Control, National Institute for Occupational Safety and Health, 1998.
8. Hamilton A: Reports of physicians for the Bureau of Labor Statistics–A study of spastic anemia in the hands of stonecutters, in Effect of the Air Hammer on the Hands of Stonecutters. Bulletin 236. Industrial Accidents and Hygiene Series, No. 19 (2019). Springfield, VA, US Dept of Commerce, National Technical Information Service, pp 53-66 (NTIS PB-254 601),

მეტაპლაზია, როგორც კანცეროგენეზის წინაპირობა

ნინი გალიანცი

უნივერსიტეტი გეომედი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი

ელფოსტა: n.galiantsi@geomedi.edu.ge

ხელმძღვანელი: მაია სვანიძე

ელფოსტა: maia.svanidze@geomedi.edu.ge

აბსტრაქტი

მეტაპლაზია გულისხმობს მომწიფებული დიფერენცირებული უჯრედის ტიპის შეცვლას სხვა მოწიფული, დიფერენცირებული უჯრედის ტიპით, რომელიც ჩვეულებრივ არ გვხვდება მოცემული ტიპის ქსოვილში. მეტაპლაზია, როგორც წესი, ხდება უჯრედების ქრონიკული გაღიზიანების, ანთებისა და ქრონიკული დაზიანებების საპასუხოდ, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური (მაგ., მოწევა და ალკოჰოლი) ან პათოლოგიური. მეტაპლაზია თავისთავად კეთილთვისებიანი, არასიმსივნური მდგომარეობაა; თუმცა, თუ არ დაინიშნა მკურნალობა, მეტაპლაზიის ქვეშ მყოფი უჯრედები შეიძლება გახდეს დისპლასტიკური (ანუ ატიპური ფორმისა და ზომის), რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს სიმსივნე.

საკვანძო სიტყვები: მეტაპლაზია, ატიპური უჯრედები, სიმსივნის პროვოცირება.

შესავალი

პირდაპირი მეტაპლაზია გულისხმობს ქსოვილის ერთი სახის მეორე სახის ქსოვილად გარდაქმნას მისი სტრუქტურული ელემენტები ცვლილების ხარჯზე, უჯრედების გამრავლების გარეშე, რაც შეეხება არაპირდაპირ მეტაპლაზიას ეს არის, ახალი სახის უჯრედების შექმნა უჯრედების გამრავლების ხარჯზე, შემდგომ წარმოიქმნება ახალი ქსოვილი, რომელიც მომწიფებისას სხვა ქსოვილად გარდაიქმნება. განარჩევენ მეტაპლაზიის ორ ტიპს, პირდაპირს და არაპირდაპირს.

მეტაპლაზიის სახეებია: ცილინდრული ეპითელიუმის ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია და შემაერთებული ქსოვილის მეტაპლაზია.

ცილინდრული ეპითელიუმის ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია

ამ დროს, ცილინდრული ეპითელიუმი იცვლება ბრტყელი ეპითელიუმით (მაგ.: სასუნთქი გზების ქრონიკული გაღიზიანების ტრაქეის და ბრონქები მოციციმე ცილინდრული ეპითელიუმი იცვლება ბრტყელი ეპითელიუმით, ასევე შესაძლოა განვითარდეს პანკრეაი გამომტან სადინრებში ან ნაღვლის სადინრებში. ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია შესაძლოა ბევრმა ფაქტორმა გამოიწვიოს, როგორცაა მაგალითად მოწევა, თუმცა მის განვითარებას ხელს უწყობს რეტინოლის მჟავის შემცველი A ვიტამინის დეფიციტი.

განვიხილოთ რესპირატორული ეპითელიუმის ბრტყელი მეტაპლაზია:

ფონი: ბრტყელი მეტაპლაზია არის რესპირატორული ეპითელიუმის საერთო ადაპტური პასუხი ქრონიკულ გაღიზიანებაზე ან დაზიანებაზე, როგორცაა სიგარეტის კვამლის ზემოქმედება.

პათოგენეზი: სიგარეტის კვამლის შესუნთქვა სასუნთქი გზების ეპითელიუმში უამრავ ტოქსიკურ ნაერთს და კანცეროგენს ავითარებს, რაც იწვევს ქრონიკულ ანთებას და დაზიანებას. საპასუხოდ, სასუნთქი გზების ნორმალური ფსევდოსტრატეფიცირებული სვეტოვანი ეპითელიუმი განიცდის მეტაპლაზიურ ცვლილებებს, გარდაიქმნება სტრატეფიცირებულ ბრტყელ ეპითელიუმად.

კლინიკური მნიშვნელობა: რესპირატორული ეპითელიუმის ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია ასოცირდება ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის, ფილტვის კიბოს ერთგვარი განვითარების რისკთან. მეტაპლასტიკური ეპითელიუმი უფრო მგრძობიარეა შემდგომი გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებების მიმართ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კარცინოგენეზი.

დიაგნოსტიკური მოსაზრებები: ბრონქული ან ფილტვის ქსოვილის ბიოფსიის ჰისტოლოგიური გამოკვლევის დროს შეიძლება შეინიშნოს ბრტყელი მეტაპლაზია. ის ხშირად გვხვდება ქრონიკული ბრონქიტის ან ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (COPD) სხვა მახასიათებლებთან ერთად.

მკურნალობა და მენეჯმენტი: სიგარეტის კვამლზე შემდგომი ზემოქმედების პრევენცია უმნიშვნელოვანესია სასუნთქი ეპითელიუმის ბრტყელი მეტაპლაზიის მართვაში. მოწვევის შეწყვეტის ინტერვენციები, ბრონქოდილატატორების თერაპია და ფილტვის რეაბილიტაცია შეიძლება იყოს ნაჩვენები ფილტვის ასოცირებული დაავადებების მართვისა და კიბოს პროგრესირების რისკის შესამცირებლად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი ქსოვილოვანი უჯრედის მეტაპლაზია შესაძლოა განვითარდეს. მაგალითად, **ბრტყელი ეპითელიუმის ცილინდრული მეტაპლაზია**, მის მაგალითს წარმოადგენს საყლაპავში განვითარებული ეზოფაგიტი, როგორც ვახსენეთ მეტაპლაზიამ შესაძლოა გამოიწვიოს სიმსივნური წარმონაქმები, ამ შემთხვევაში ჯირკვლოვანი ადენოკარცინომები.

ადენოკარცინომის განვითარების მექანიზმი და მასზე მოქმედი ფაქტორები

საყლაპავის ადენოკარცინომას უმეტესობა, თუ არა ყველა, წარმოიქმნება ბარეტის საყლაპავიდან, ეს არის მდგომარეობა, როდესაც დისტალური საყლაპავის მოპირკეთებული ნორმალური ბრტყელი უჯრედები იცვლება ნაწლავის ტიპის ცილინდროვანი უჯრედებით. ბარეტის საყლაპავი ვითარდება მეტაპლაზიის შედეგად, ერთი ზრდასრული უჯრედის მეორეთი ჩანაცვლებით. ითვლება, რომ მეტაპლაზია წარმოიქმნება, როგორც დამცავი პასუხი ქსოვილის ქრონიკულ ანთებაზე, ბარეტის მეტაპლაზია შეიძლება გამოწვეული იყოს ან მთლიანად დიფერენცირებული საყლაპავის ბრტყელი უჯრედების პირდაპირ ნაწლავის ტიპის

ცილინდრულ უჯრედებად ცვლის ან საყლაპავის ღეროვანი უჯრედების დიფერენციაციის ნიმუშის შეცვლის შედეგად.

ქრონიკული ანთება და ოქსიდაციური სტრესი:

კუჭის მჟავისა და ნაღვლის მიერ საყლაპავის ეპითელიუმის ქრონიკული გაღიზიანება იწვევს ანთებას და ოქსიდაციურ სტრესს.

ანთების დროს წარმოქმნილმა ჟანგბადის რეაქტიულმა სახეობებმა (ROS) შეიძლება დააზიანოს დნმ და უჯრედული კომპონენტები, რაც ხელს უწყობს უჯრედების დაზიანებას და გენეტიკურ მუტაციებს.

მჟავისა და ნაღვლის ზემოქმედების როლი:

კუჭის მჟავა და ნაღვლის რეფლუქსი ქვედა საყლაპავში გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადების გამო (GERD).

მჟავე და ნაღვლის კომპონენტებს შეუძლიათ პირდაპირ დააზიანონ საყლაპავის ეპითელიური უჯრედები, დაარღვიონ უჯრედების შეერთება და გაააქტიურონ სასიგნალო გზები, რომლებიც მონაწილეობენ მეტაპლასტიკური ტრანსფორმაციაში.

ეპითელიურ-მეზენქიმული გადასვლა (EMT):

EMT არის პროცესი, რომლითაც ეპითელიური უჯრედები იძენენ მეზენქიმურ მახასიათებლებს, როგორცაა გაზრდილი მიგრაციული და ინვაზიური თვისებები.

მჟავისა და ნაღვლის რეფლუქსის ქრონიკულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს EMT საყლაპავის ეპითელიუმის უჯრედებში, რაც ხელს უწყობს მათ ტრანსფორმაციას სვეტურ უჯრედულ ფენოტიპად, რომელიც წააგავს ნაწლავის ეპითელიუმს.

ანთებითი ციტოკინების და ზრდის ფაქტორების როლი:

პრო-ანთებითი ციტოკინები, როგორცაა ინტერლეიკინ-1 (IL-1), ინტერლეიკინ-6 (IL-6) და სიმსივნური ნეკროზის ფაქტორი-ალფა (TNF- α) ამაღლებულია ბარეტის საყლაპავის მქონე პაციენტების საყლაპავის ლორწოვან გარსში.

ამ ციტოკინებს შეუძლიათ გაააქტიურონ სასიგნალო გზები, რომლებიც მონაწილეობენ უჯრედების პროლიფერაციაში, გადარჩენასა და დიფერენციაციაში, რაც ხელს უწყობს მეტაპლაზიურ ცვლილებებს.

გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებები:

ქრონიკულმა ანთებამ და ოქსიდაციურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს საყლაპავის ეპითელიური უჯრედების გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებები.

თუ ბარეტის საყლაპავში დაფიქსირდა მუტაციები სიმსივნის სუპრესორული გენების

(მაგ., p53) და დნმ-ის ცვლილებები, შესაძლოა გამოიწვიოს უჯრედების დისპლაზიისა და კიბოს ტრანსფორმაციისკენ მიდრეკილება.

მიკროგარემოს ცვლილებები:

ბარეტის საყლაპავში შეცვლილი მიკროგარემო, რომელსაც ახასიათებს ანთებითი შუამავლების, ზრდის ფაქტორების და უჯრედგარე მატრიქსის ცილების გაზრდილი დონე, ქმნის ხელსაყრელ ნიშას უჯრედების პროლიფერაციისა და გადარჩენისთვის.

საყლაპავის ლორწოვან გარსში ეპითელიური უჯრედების, სტრომული უჯრედების და იმუნური უჯრედების ურთიერთქმედება გადამწყვეტ როლს თამაშობს დაავადების პროგრესირებაში.

შემაერთებელი ქსოვილის მეტაპლაზია, რაც მოიცავს ხრტილოვანი, ძვლოვანი ან ცხიმოვანი ქსოვილის წარმოქმნას იმ ქსოვილებში, რომლებიც ნორმაში მათ არ შეიცავს. მის მაგალითს წარმოადგენს, მოტეხილობებისა და ტრავმის დროს მომწიფებული, ლამელარული ძვლის არანორმალურ წარმოქმნას ჩონჩხის სისტემის გარეთ რბილ ქსოვილებში, როგორცაა კუნთები, მყესები ან ბოჭკოვანი ქსოვილები, იგივე მაიოფიციტური მიოზიტი, რომლის მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის.

ადრე, როგორც ვახსენეთ, თავდაპირველად ხდება დაზიანებული ქსოვილის დეგენერაცია და ნეკროზი, შემდეგ კი ორგანიზმი იწყებს ჩამოშლილი ქსოვილის შთანთქმას, მაკროფაგები შეიჭრებიან უფუნქციო დანეკროზებულ უჯრედში, ეს პროცესი გრძელდება 3-4 დღის განმავლობაში და საბოლოოდ ფორმირდება ფიბრობლასტების ბადე, რომელიც აღდგება როგორც მეზენქიმური ქსოვილი კუნთოვან რბილ ქსოვილთან კავშირით ამ ყველაფერს გარკვეული დრო სჭირდება, შესაბამისად კუნთოვან ქსოვილში წარმოიქმნება ძვლოვანი უჯრედები და ხდება მათი განვითარება და დიფერენციაცია,

ღეროვანი უჯრედების პროლიფერაციაში მონაწილეობას იღებს ზრდის ფაქტორი, ციტოკინები, უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტები, იონები (Ca²⁺), ქსოვილისათვის სპეციფიკური და დიფერენციაციის გენები. ძვლის მორფოგენეტიკური ცილები, TGF- β სუპეროჯახის წევრები, რაც საბოლოოდ იწვევს ქონდოგენული ან ოსტეოგენური გენების ექსპრესიას და აინჰიბირებს ცხიმოვანი და კუნთოვანი ქსოვილის წარმოქმნას. (ეს ყოველივე დნმ-ის დონეზე მიმდინარე პროცესია, რადგან ის არეგულირებს უჯრედის ფენოტიპისადმი სპეციფიკური გენების წარმოქმნის მთელ კასკადს).

დასკვნა

ეს ყოველივე მიუთითებს, რომ მეტაპლაზია წარმოადგენს არა საბოლოოდ დიფერენცირებული უჯრედების ფენოტიპის ცვლილებას, არამედ ნორმალურ ქსოვილში აღებული ღეროვანი უჯრედების ან შემაერთებელ ქსოვილში არსებული არადიფერენცირებული მეზენქიმური უჯრედების რეპროგრამირების შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინფორმაცია ინტერნეტიდან, გამოყენების თარიღი 2024 წლის 5 დეკემბერი.
<https://www.google.com/search?q=%E1%83%9B%E1%83%>
2. ინფორმაცია ინტერნეტიდან, გამოყენების თარიღი 2024 წლის 2 დეკემბერი.
<https://en.wikipedia.org/wiki/Metaplasia>
3. ინფორმაცია ინტერნეტიდან, გამოყენების თარიღი 2024 წლის 2 დეკემბერი.
<https://kmedica.ru/diseases/metaplaziya/#>

მოზარდთა რეპროდუქციული ფსიქოლოგია

ანა ვარდანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი

E-mail: ana.vardanidze417@med.tsu.edu.ge

ხელმძღვანელი: მოწვეული პედაგოგი გიორგი წკრიალაშვილი

E-mail: giorgi.tskrialashvili010@med.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

მოზარდობა არის განვითარების კრიტიკული ეტაპი, რომელიც აღინიშნება ღრმა ფიზიკური, ემოციური და კოგნიტური ცვლილებებით. ამ გარდამავალ პერიოდში, რეპროდუქციული ცვლილებები იწვევს ფსიქოლოგიური გამოწვევებისა და შესაძლებლობების კომპლექსურ ურთიერთკავშირს. მოზარდის რეპროდუქციული ფსიქოლოგია იკვლევს, თუ როგორ მართავენ ახალგაზრდები თავიანთ განვითარებად სექსუალურ და რეპროდუქციულ სიახლეებს, რამდენად ინფორმირებულები და მომზადებულები არიან ამ ახალი გამოწვევებისთვის. ეს პერიოდი მოიცავს ემოციურ, ფსიქიკურ, ფიზიკურ და იდენტობის ფორმირებას.

ეს აბსტრაქტი მოიცავს მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ფსიქოლოგიურ განზომილებებს, ხაზს უსვამს ფსიქიკური ჯანმრთელობაზე გავლენას. ჰორმონალური ცვლილებები, სოციალური ზეწოლა და განვითარებადი თვითიდენტიფიკაცია ხელს უწყობს ემოციური მგრძობელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების რისკის გაზრდას, როგორცაა შფოთვა, დეპრესია და დაბალი თვითშეფასება. გარდა ამისა, საზოგადოების მოლოდინები და კულტურული ნორმები მნიშვნელოვნად აყალიბებს მოზარდების დამოკიდებულებას რეპროდუქციის, სექსუალობისა და გენდერული როლების მიმართ, რაც შემდგომ გავლენას ახდენს მათ ფსიქოლოგიურ განვითარებაზე.

გადამწყვეტია განათლების როლი მოზარდების რეპროდუქციული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ არაადეკვატურმა ან სტიგმატიზებულმა დისკუსიებმა შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაცია, დანაშაულის გრძობა და შიში.

მშობლის გავლენა და თანატოლებთან ურთიერთობა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მოზარდები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს, იღებენ ინფორმაციას და ხშირად არასწორს. ამიტომ მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა, რომ თავიდან აარიდოს არასწორი ინფორმირება, სწორი განათლების მიცემით.

ეს კვლევა ხაზს უსვამს ინტერდისციპლინარული მიდგომის აუცილებლობას, რომელიც აერთიანებს ფსიქოლოგიურ, საგანმანათლებლო და სამედიცინო პერსპექტივებს, რათა

დაეხმაროს მოზარდებს ჯანსაღი რეპროდუქციული და ემოციური განვითარების გზაზე. მათი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის პრიორიტეტის მინიჭებით, ჩვენ შეგვიძლია მოზარდებს დავრხმაროთ, გადალახონ ეს ტრანსფორმაციული პერიოდი, თავდაჯერებულად და გამძლეობით.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა, გარდამავალი პერიოდი, რეპროდუქციული ფსიქოლოგია, თვითიდენტიფიკაცია, დეზინფორმაცია.

შესავალი

მოზარდობა არის განვითარების კრიტიკული პერიოდი, რომელიც აღინიშნება ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური ცვლილებებით. ამ ცვლილებებს შორის არის რეპროდუქციული სიმწიფის დაწყება, რთული პროცესი, რომელიც იკვეთება იდენტობის ფორმირებასთან, სოციალურ ზეწოლასთან და ემოციურ კეთილდღეობასთან. ეს ფაზა ხშირად წარმოქმნის გამოწვევებს, მათ შორის ხარვეზებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულობაში, კულტურულ სტიგმებსა და დამხმარე რესურსებზე შეზღუდული წვდომის ჩათვლით. ეს კვლევა შეისწავლის, თუ როგორ აყალიბებს განათლება, სოციალური ურთიერთობები და კულტურული კონტექსტი მოზარდის რეპროდუქციულ ფსიქოლოგიას და მის გავლენას საერთო კეთილდღეობაზე.

ძირითადი ტექსტი

მოზარდობის ასაკი ხასიათდება მნიშვნელოვანი ჰორმონალური ცვლილებებით, რაც განაპირობებს ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. ეს ცვლილებები ხდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ-გონადალური (HPG) ღერძის და სხვა ენდოკრინული სისტემების გააქტიურების შედეგად.

ძირითადი ჰორმონალური ცვლილებები:

1. ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზურ-გონადალური (HPG) ღერძის გააქტიურება

ჰიპოთალამუსი იწყებს გონადოტროპინ-რელიზინგ ჰორმონის (GnRH) გამოყოფას, რომელიც ასტიმულირებს ჰიპოფიზის ჯირკვალს:

მალუთეინიზირებელი ჰორმონი (LH), ფოლიკულო მასტიმულირებელი ჰორმონი (FSH)- ეს ჰორმონები მოქმედებენ სასქესო ჯირკვლებზე (მამაკაცებში სათესლეები და ქალებში საკვერცხეები) სასქესო ჰორმონების წარმოქმნით.

2. სქესობრივი ჰორმონების მატება

ტესტოსტერონი (მამაკაცებში): წარმოებული სათესლე ჯირკვლების მიერ LH-ის საპასუხოდ. პასუხისმგებელია მამაკაცის მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებაზე.

ესტროგენი და პროგესტერონი (ქალებში): ესტროგენი წარმოიქმნება საკვერცხეების მიერ FSH და LH საპასუხოდ.

3. ზრდის ჰორმონები

ჰიპოფიზის ჯირკვლის მიერ ზრდის ჰორმონის (GH) გაზრდილი სეკრეცია ასტიმულირებს სიმაღლის, ძვლისა და კუნთების მასის მატებას.

ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი-1 (IGF-1), რომელიც წარმოიქმნება GH-ის საპასუხოდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძვლის ზრდას და სიმტკიცეს.

4. თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონები

ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვლის (HPA) ღერძის გააქტიურება იწვევს თირკმელზედა ჯირკვლებიდან ანდროგენების (მაგ., დეჰიდროეპიანდროსტერონის სულფატი, ან DHEA-S) წარმოების გაზრდას.

5. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები

ფარისებრი ჯირკვალი გამოიმუშავებს თიროქსინს (T4) და ტრიოდთირონინს (T3), რომლებიც არეგულირებენ მეტაბოლიზმს და ხელს უწყობენ ზრდას და ენერჯის დონეს მოზარდობის პერიოდში.

6. განწყობისა და ქცევის რეგულირება

ჰორმონული ძვრები, როგორცაა ტესტოსტერონი, ესტროგენი და კორტიზოლი, გავლენას ახდენს განწყობის ცვალებადობაზე, ემოციურ მგრძნობელობაზე და ქცევის ცვლილებებზე, რომლებიც ჩვეულებრივ აღინიშნება მოზარდობის პერიოდში.

მოზარდობის პერიოდში ჰორმონალური ცვლილებები ღრმა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ემოციებზე, ქცევაზე და სოციალურ ურთიერთქმედებებზე. ეს ეფექტები მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრების ამ ეტაპზე მიმდინარე ფიზიკურ და ნევროლოგიურ განვითარებასთან.

ძირითადი ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია ჰორმონალურ ცვლილებებთან:

1. ემოციური არასტაბილურობა და განწყობის ცვალებადობა

ჰორმონალური ძვრები, განსაკუთრებით ტესტოსტერონის, ესტროგენისა და კორტიზოლის, ხელს უწყობს ემოციური მგრძნობელობის ამაღლებას.

2. გაზრდილი მგრძნობელობა სტრესის მიმართ

ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვლის (HPA) ღერძის გააქტიურება ზრდის კორტიზოლის გამომუშავებას, რაც მოზარდებს უფრო რეაქტიულს ხდის სტრესის მიმართ.

3. რისკის შემცველი ქცევები

ტესტოსტერონის დონის მატება ორივე სქესში, განსაკუთრებით მამაკაცებში, დაკავშირებულია გაზრდილ იმპულსურობასა და რისკისადმი მიდრეკილებასთან.

4. საკუთარი თავისა და სხეულის გმოზა

პუბერტატულმა ფიზიკურმა ცვლილებებმა, როგორცაა აკნე, წონის მომატება ან სხეულის ფორმის ცვლილება, შეიძლება გამოიწვიოს გარეგნობით უკმაყოფილება.

5. გზრდილი სექსუალური ინტერესი

სქესობრივი ჰორმონების მატება, როგორცაა ტესტოსტერონი და ესტროგენი, ხელს უწყობს სექსუალური ინტერესისა გაძლიერებას.

6. თანატოლებთან ურთიერთობა

ჰორმონალური გავლენა, ტვინის განვითარებასთან ერთად, აძლიერებს თანატოლების მოწონების და სოციალური კუთვნილების მნიშვნელობას.

7. იდენტობის ფორმირება და დამოუკიდებლობა

ჰორმონალური და ნევროლოგიური ცვლილებები ხელს უწყობს ავტონომიისა და თვითიდენტურობის შესწავლისკენ სწრაფვას.

8. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაუცველობა

ჰორმონალური ცვლილებები, განსაკუთრებით ესტროგენისა და პროგესტერონის, მოზარდებში იწვევს, განსაკუთრებით ქალებში, განწყობის დარღვევებისკენ მიდრეკილებას, როგორცაა დეპრესია ან შფოთვა.

9. კოგნიტური და ემოციური რეგულირების დარღვევები

პრეფრონტალური ქერქი, რომელიც პასუხისმგებელია იმპულსების კონტროლსა და გადაწყვეტილების მიღებაზე, ჯერ კიდევ ვითარდება, ხოლო ჰორმონალურმა ტალღამ შეიძლება გააძლიეროს ემოციური რეაქციები.

დასკვნა

მოზარდებისთვის ამ ცვლილებების შესახებ განათლების მიწოდება, ღია კომუნიკაციის ხელშეწყობა და დამხმარე გარემოს შექმნა სახლში და სკოლაში შეიძლება შეამსუბუქოს ნეგატიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ხელი შეუწყოს ჯანსაღ განვითარებას.

მოზარდის რეპროდუქციულ ფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენს საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ფაქტორების კომბინაცია. მოზარდებისთვის ინკლუზიური, ყოვლისმომცველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის განათლებისა და დამხმარე გარემოს ხელშეწყობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Iloi Elena Cristiana, Golombok Susan, Psychological adjustment in adolescents conceived by assisted reproduction techniques: a systematic review

2. Sharon N. Covington, Pedro E. Martinez, Vaishali Popat, Radha Nandagopal, Mary Ryan, Lawrence M. Nelson, The Psychology of Antecedents to Adult Reproductive Disorders in Adolescent Girls
3. Olga B. Van Den Akker, Reproductive health psychology.
4. Dominant Biological and Psychological Factors Affect Adolescent Awareness about Reproductive Health Nurul Aini Department of Nursing, Faculty of Health Science, University of Muhammadiyah Malang, Jalan Bendungan Sutami No. 188A, Malang, East Java, Indonesia
5. By Morrison, Diane M. Adolescent contraceptive behavior: A review. Psychological Bulletin, Vol 98(3), Nov 1985, 538-568.

ოდონტოგენური ჰაიმორიტი

მარიამ გელბახიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, V კურსი

ელფოსტა: mariam.gelbakhiani131@med.tsu.edu.ge

ხელმძღვანელი: მერაბ დეკანოსიძე

ელფოსტა: msdekanosidze@mail.ru

აბსტრაქტი

ოდონტოგენური ჰაიმორიტი - ზედა ყბის წიაღის ანთეზა, რომლის ეტიოლოგია არის კბილიდან განვითარებული ინფექციური პროცესი. აღნიშნული დაავადება საკმაოდ გავრცელებულია და ხშირად შემთხვევით დიაგნოსტირდება, რაიმე სხვა მიზეზით ჩატარებული რენტგენოლოგიური კვლევის დროს. ოდონტოგენური ჰაიმორიტი შეიძლება პრემოლარების ან მოლარების უბრალო კარიესული დაზიანებით დაიწყოს, რაც შეიძლება გადავიდეს შემდგომ პულპიტში. არანამკურნალებმა პულპიტმა კი თავის მხრივ განაპირობოს პათოლოგიური ცვლილებები პერიოდონტში და პაროდონტის ქსოვილებში. ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული მწვერვალოვანი პერიოდონტიტის შედეგად, თანდათანობით ირღვევა მიმდებარე ძვლის მთლიანობა, ანთების მედიატორები, მიკრობული ტოქსინები აღწევენ ზედა ყბის წიაღის ლორწოვანს. ცალკეულ შემთხვევებში ზედა ყბის წიაღში შეიძლება ჩაიზარდოს ოდონტოგენური კისტა და გამოიწვიოს ჰაიმორიტი. ასევე ექსტრაციის შემდეგ თუ პირის ღრუსა და ჰაიმორის ღრუს შორის ჩამოყალიბდა მდგრადი კავშირი, ანუ ეგრედწოდებული ოროანტრალური ფისტულა, მოსალოდნელია პირის ღრუდან აღმავალი გზით ჰაიმორის მიმართულებით ინფექციის გავრცელება და ანთების განვითარება. ტრავმული ექსტრაქციების დროს შესაძლოა ფესვის ნაწილი დარჩეს ჰაიმორის ღრუში. ასევე ენდოდონტიის დროს, მექანიკურად არხის არასწორი დამუშავების შედეგად შესაძლოა განვითარდეს ჰაიმორიტი. ოდონტოგენური ჰაიმორიტი არსებობს - მწვავე და ქრონიკული. მწვავე ჰაიმორიტის დროს მკურნალობა ხდება ანტიბიოტიკოთერაპიით. ქრონიკულის დროს ტარდება ქირურგიული ჩარევა - კალდველ-ლუკის ანტროსტომია, შემდგომი ანტიბიოტიკოთერაპიით. სწორი მკურნალობის შემდგომ მიიღწევა კარგი შედეგი. ოდონტოგენური ჰაიმორიტის ეტიოლოგიური ფაქტორი არის კბილი. არსებობს მწვავე და ქრონიკული. მწვავე პროცესის დროს ინიშნება ანტიბიოტიკოთერაპია, ხოლო ქრონიკულს დროს, ქირურგიული ჩარევა შემდგომი ანტიბიოტიკოთერაპიით.

საკვანძო სიტყვები: ჰაიმორიტი, ოდონტოგენური - კბილიდან გამოწვეული, კბილის ექსტრაქცია - კბილის ამოღება.

ძირითადი ტექსტი

ოდონტოგენური ჰაიმორიტი - ზედა ყბის წიაღის ლორწოვანის ანთება, რომელის ეტიოლოგია არის, კბილიდან განვითარებული ინფექცია.

აღნიშნული დაავადება საკმაოდ გავრცელებულია და ხშირად სრულიად შემთხვევით დიაგნოსტირდება, სხვა მიზეზით ჩატარებული რენტგენოლოგიური კვლევის დროს.

ტერმინი - ოდონტოგენური იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორი არის კბილი, კერძოდ ცნობილია რომ ზედა ყბის წიაღის ფსკერს, ანუ მის ქვედა კედელს, ალვეოლური მორჩის ძვლოვანი ქსოვილი ქმნის, რომლის სისქეც ძალიან ვარიაბელურია. ცალკეულ შემთხვევაში ფესვების მწვერვალებს შეიძლება უშუალო კონტაქტიც კი ჰქონდეს ჰაიმორის ლორწოვანთან.

ყველაფერი შეიძლება პრემოლარების ან მოლარების უბრალო კარიესული დაზიანებით დაიწყოს, რაც შეიძლება გადავიდეს შემდგომ პულპიტში. არანამკურნალებმა პულპიტმა კი თავის მხრივ განაპირობოს პათოლოგიური ცვლილებები პერიოდონტში.

ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული მწვერვალოვანი პერიოდონტიტის შედეგად, თანდათანობით ირღვევა მიმდებარე ძვლის მთლიანობა, ანთების მედიატორები, მიკრობული ტოქსინები აღწევენ ზედა ყბის წიაღის ლორწოვანს. ცალკეულ შემთხვევებში ზედა ყბის წიაღში შეიძლება ჩაიზარდოს ოდონტოგენური კისტა და გამოიწვიოს ჰაიმორიტი.

ასევე ექსტრაციის შემდეგ თუ პირის ღრუსა და ჰაიმორის ღრუს შორის ჩამოყალიბდა მდგრადი კავშირი, ანუ ეგრედწოდებული ოროანტრალური ფისტულა, მოსალოდნელია პირის ღრუდან აღმავალი გზით ჰაიმორის მიმართულებით ინფექციის გავრცელება და ანთების განვითარება.

ტრამვული ექსტრაქციების დროს შესაძლოა ფესვის ნაწილი დარჩეს ჰაიმორის ღრუში. ასევე ენდოდონტიის დროს, მექანიკურად არხის არასწორი დამუშავების დროს შესაძლოა განვითარდეს ჰაიმორიტი.

ეტიოლოგიური ფაქტორები საკმაოდ მრავალფეროვანია თუმცა საბოლოო არსი ყველასთვის ერთია, ამა თუ იმ მიზეზით კბილიდან წამოსული ინფექციური აგენტი აღწევს ჰაიმორის ლორწოვანს და წარმოშობს ანთებას, რომელიც შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული. მწვავე ანთების დროს ჰაიმორის ლორწოვანი შეშუპებული და ჰიპერემიულია. დასაწყისში კატარული ანთების ფონზე იგი სქელდება, დიდდება მუკოზური ჯირკვლებიც და ისინი იწყებენ სეკრეტის ჭარბ გამოყოფას, რაც თანდათანობით ავსებს წიაღს. რამოდენიმე დღეში ანთება უკვე შესაძლოა ჩირქოვან ფაზაში გადავიდეს და განჩდეს მიკრო აბსცესები და ნეკროზული კერები, რაც მოგვცემს მკვეთრად გამოხატულ კლინიკურ სურათს. ამ დროს პაციენტები უჩივიან სახის შესაბამის

ნახევარში ტკივილებს და სიმძიმის შეგრძნებას. ტკივილები შეიძლება გადაეცემოდეს: შუბლის, საფეთქლის ან კეფის არეში. ამასთან მოსალოდნელია შესაბამისი ნესტოს ლორწოვანის შემუშებაც, ვინაიდან ჰაიმორის ლორწოვანი, ცხვირის ლორწოვანის უშუალო გაგრძელებაა. პერიოდულად იხურება დამაკავშირებელი ხვრელი ცხვირის ღრუსა და ზედა ყბის წიაღს შორის, შედეგად ჰაიმორის ღრუ ჩირქოვანი ექსუდატით ივსება და ტკივლები მკვეთრად ძლიერდება. თუ ეს დამაკავშირებელი ხვრელი ღიაა, მაშინ ჩირქი გამოედინება შესაბამისი ნესტოდან და აღნიშნული ძლიერდება თვის წინ დახრისას. ობიექტურად, ინსპექციით შესაძლოა აღენიშნებოდეს ინფარორბიტული და ლოყის მიდამოს მცირე შემუშება, ხოლო პალაციით მტკივნეული იყოს ეშვის ფოსოს საპროექციო ზონა, ან ჰაიმორის ღრუს წინა კედელი და ასევე საღეჭი კბილების მიმდებარედ გარდამავალი ნაოჭი.

ქრონიკული ანთების შემთხვევაში კლინიკური სურათი შედარებით მსუბუქია, თუმცა ამ დროს ადგილი აქვს ჰაიმორის ლორწოვანის შეუქცევად პათოლოგიურ გადაგვარებას. პროცესი შეიძლება შემოფარგლული იყოს ან დიფუზურად მთელ წიაღს მოიცავდეს. ამ დროს ხშირია ეპითელიუმის ჰიპერპლაზია, წყლულოვან ნეკროზული კერების გაჩენა და ანთების პერიოდული გამწვავება აქტიური ჩირქოვანი ექსუდაციით.

ოდონტოგენური ჰაიმორიტი რინოგენულისგან განსხვავებით უხშირესად ცალმხრივია. დაავადების დიაგნოსტიკებისთვის კი ყველაზე ინფორმატიული მეთოდი 3 D კომპიუტერული ტომოგრაფიაა. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სიბრტყეში, ზედა ყბის კბილებისა და ჰაიმორის ღრუს დეტალური დათვალიერება, პერიაპიკალური ცლილებების გამოვლენა, ანთებითი პროცესების ხასიათის და მასშტაბების განსაზღვრა.

მკურნალობაც მას შემდეგ უნდა დაიგეგმოს, როდესაც ზუსტად იდენტიფიცირდება მიზეზობრივი კბილები და განისაზღვრება ანთების ცალკეული თავისებურებები.

დაზიანებული კბილები თუ არ ექვემდებარება კონსერვატიულ მკურნალობას აუცილებლად უნდა იყოს ექსტრაგირებული. მწვავე ჩირქოვანი ანთების დროს ამოღებული კბილის კბილბუდიდანვე შესაძლებელია ჩირქის დრენირება და ჰაიმორის ღრუს ანტისეპტიკური დამუშავება. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკულ დიფუზურ ანთებასთან გვაქვს საქმე, მაშინ მიმართავენ რადიკალურ ქირურგიულ ჩარევას, ეგრედწოდებულ კალდველ-ლუკის ანტროსტომიას. ამ დროს სრულად მოსცილდება პათოლოგიურად შეცვლილი ლორწოვანი და ტოტალურად აღმოიფხვრება ინფექციის კერა. მიზეზობრივი კბილის ექსტრაქციის შემდეგ საჭიროა პირის ღრუსა და ზედა ყბის წიაღს შორის კავშირის დახურვა, ლორწოვანის პლასტიკის საშუალებით.

ქირურგიული ჩარევის პარალელურად ნებისმიერ შემთხვევაში ინიშნება ანტიბიოტიკოთერაპია. ამ ყოველივეს შედეგად კი სავსებით შესაძლებელია ჰაიმორიტის წარმატებული მკურნალობა.

2022 წელს კვლევა ჩაატარა ყბა-სახის ქირურგმა მარტა ალექსანდრა კვიატკოვსკამ ვარშავაში, სადაც მონაწილეობდა 61 პაციენტი, აქედან 28 (46%) იყო ქალი, ხოლო 33 (54%) მამაკაცი. საშუალო ასაკი 49 წელი. ასაკი იყო 22-დან 78 წლამდე. პაციენტთა 23%-ს აღენიშნებოდა მსუბუქი, 44.3%-ს ზომიერი და 32.7%-ის მძიმე სიმპტომები. ენდოსკოპიური შეფასებისას შემთხვევების 86.8%-ს აღენიშნებოდა გამონადენი, 73.8% ლორწოვანის შემუპება. პაციენტებიდან 42,6%-ს ჰქონდა პირველი მოლარის პათოლოგია. მეორე მოლარის პათოლოგია 27,9%-ს.

დასკვნა

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ოდონტოგენური ჰაიმორიტის ეტიოლოგია არის კბილიდან წამოსული ინფექცია, რომელიც იწვევს ჰაიმორის ღრუს ლორწოვანი გარსის პათოლოგიურ ცვლილებას. აღნიშნული პათოლოგია ძირითად შემთხვევებში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მწვავე ფორმის მკურნალობა შესაძლებელია ანტიბიოტიკოთერაპიით, ხოლო ქრონიკული ჰაიმორიტის შემთხვევაში საჭიროა კომბინირებული მკურნალობა, რაც მოიცავს ქირურგიულ ჩარევას, შემდგომი ანტიბიოტიკოთერაპიით. მკურნალობის სწორი თანმიმდევრობის შედეგად კი ვღებულობთ კარგ შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/24817890/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 3 დეკემბერი
2. ინფორმაცია ინტერნეტიდან https://scholar.google.com/scholar_lookup?journal=J%20Craniofac%20Surg&title=Etiology%20and%20clinical%20characteristics%20of%20symptomatic%20unilateral%20maxillary%20sinusitis%20a%20review%20of%20174%20cases&author=M.%20Troeltsch&author=C.%20Pache&author=M.%20Troeltsch&author=G.%20Kaeppler&author=M.%20Ehrenfeld&volume=43&publication_year=2015&pages=1522-1529&pmid=26319958&doi=10.1016/j.jcms.2015.07.021& გამოყენების თარიღი 2024 წლის 4 დეკემბერი
3. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1155/2014/465173> გამოყენების თარიღი 2024 წლის 3 დეკემბერი

4. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26662929/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 5 დეკემბერი
5. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://opendentistryjournal.com/VOLUME/10/PAGE/647/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 3 დეკემბერი
6. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/21498651/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 4 დეკემბერი
7. ინფორმაცია ინტერნეტიდან https://scholar.google.com/scholar_lookup?journal=Endod%20Topics&title=Survival%20against%20the%20odds:%20microbiology%20of%20root%20canals%20associated%20with%20post-treatment%20disease&author=D.%20Figdor&author=K.%20Gulabivala&volume=18&publication_year=2011&pages=62-77& გამოყენების თარიღი 2024 წლის 1 დეკემბერი
8. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/28258920/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 5 დეკემბერი
9. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://medicaljournalssweden.se/actaodontologica/article/view/36765> გამოყენების თარიღი 2024 წლის 3 დეკემბერი
10. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/25209225/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 2 დეკემბერი
11. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/25638394/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 3 დეკემბერი
12. ინფორმაცია ინტერნეტიდან <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/21145640/> გამოყენების თარიღი 2024 წლის 5 დეკემბერი

იაპონური მენეჯმენტის ეფექტიანობა

თეკლა კურცხალია

უნივერსიტეტი გეომედი, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, II კურსი.

ხელმძღვანელი: პროფესორი გურამ ამყოლაძე

შესავალი

იაპონიამ რა წარმატებებსაც მიაღწია სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაფერი დაკავშირებულია მეცნიერების გამოყენებასთან. ჩვენ დავარქმევდით მას მეცნიერების საწარმოო მიზნების მიღწევის იაპონური ხელოვნებას. იაპონელების განსაკუთრებული ნიჭი მათი საყვარელი ქვეყანა, ისწავლონ სხვათა შეცდომებზე და მიიღონ ამონაგები სხვათა გამოცდილების გამოყენებით. ისინი ყურადღებას აქცევენ მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს, ლებულობენ მრავალსახა ინფორმაციას, გადმოაქვთ და დაანერგავენ ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებსა და პროცესებს. იაპონელები არ ეწინააღმდეგებიან მსოფლიოში შექმნილი ახალი ტექნიკური პროგრესის სიახლეების დანერგვას. სიახლეების დანერგვამდე იაპონელი ამბობს, „რა შეიძლება აქედან ამოვქაჩოთ“, ამიტომაც არიან ისინი განთქმული სხვა მეცნიერული შრომების გადმოღებითა და დანერგვით, მიუხედავად ამისა ცოტა რამ დაკარგა თავისი ეროვნული ხასიათისა და ინდივიდუალობისაგან.

ძირითადი ტექსტი

იაპონელებს გააჩნიათ ჯგუფური მუშაობისაკენ მიდრეკილება ერთობლივ საქმიანობაზე კოპირებასა და თანამშრომლობაზე. გააჩნიათ რაციონალურ ჯგუფებში ორგანიზების ტენდენცია. ჯგუფებში მიაღწიეს წარმატებას არა მარტო აზრთა კონსენსუსით, არამედ ხერხდება თავიდან იქნა აცილებული ერთმანეთს შორის კონფრონტაცია და კონფლიქტები.

ყველა აღწერილი თვისება, მეცნიერული შედეგების გადმოღებამ დანერგვა და გამოყენება, ყველაფერი ჩადებულია იაპონურ უნივერსალურ მეთოდში „იკიგაი“, რომელიც სამი ძირითადი მიმართულების ერთობლიობაა:

1. ის, რაც კარგად გამოსდის ანუ საქმე, რომელიც კარგად იცის;
2. ის, რაც საჭიროა და სასარგებლოა, განსაზღვრა საჭირო;
3. ის, რაც პურს გაჭმევს და რაშიც ფულს გიხდინან.

ამ მიმართულებათა გაანალიზება და შედეგის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული იაპონიის მსოფლიოში აღიარებული კონკურენტუნარიანი კომპანიებისა და იქ მომუშავეთა კეთილდღეობა, მოგება და განვითარება. აქ დევს იაპონური წარმატების საიდუმლო.

თავის დროზე იაპონიაში შეიქმნა აუცილებლობა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე. ამ ამოცანის გადაჭრაში ჩაერთო მთელი იაპონია, როგორც კომპანიები,

ასევე ყველა რიგის მომუშავე ადამიანი. ჩამოყალიბდა შრომის ნაყოფიერების ზრდის პრინციპები და ამოცანები შესასრულებლად *პირველი რანგის ამოცანად* მიჩნეული იქნა იაპონიის გადაქცევა ქვეყნად, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ნებისმიერი საზღვარგარეთული დახმარებისაგან. *მეორე ძირითადი ამოცანა* ყოველწლიურად გაზრდილიყო იაპონელთა ცხოვრების დონე. ეს ის პერიოდია, როდესაც იაპონიაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდა. უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება რა თქმა უნდა ყველასათვის სასარგებლოა და ამიტომ მის შესრულებებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ.

იაპონელები ბუნებრივად პრაქტიკული ხალხია, მათ გასწიეს კოლოსალური შრომა და ჩაატარეს მთელი მრეწველობის მოდერნიზაცია, ფართოდ გაიშალა ინოვაციების დანერგვის სამუშაოები და როგორც მენეჯერები, ასევე შემსრულებლები წარმატებულად თვლიან შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს და მიაჩნიათ, რომ ის არის მთავარი ეროვნული აუცილებლობა და იაპონური ეკონომიკური წარმატების საფუძველი.

თავის დროზე იაპონიაში შეიქმნა აუცილებლობა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე. ამ ამოცანის გადაჭრაში ჩაერთო მთელი იაპონია, როგორც კომპანიები, ასევე ყველა რანგის მომუშავე ადამიანი. ჩამოყალიბდა შრომის ნაყოფიერების ზრდის პრინციპები და ამოცანები. შესასრულებლად *პირველი რანგის ამოცანად* მიჩნეული იქნა იაპონიის გადაქცევა ქვეყნად, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ნებისმიერ საზღვარგარეთელი დახმარებისაგან. *მეორე ძირითადი ამოცანა* ყოველწლიურად გაზრდილიყო იაპონელთა ცხოვრების დონე.

ეს ის პერიოდია, როდესაც იაპონიაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდა. უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება რა თქმა უნდა ყველასათვის სასარგებლოა და ამიტომ მის შესრულებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ. ამ ამოცანების შესრულების პერიოდში შეიძლება შექმნილიყო სიძნელები, ზოგ შემთხვევაში უმუშევრობაც, რაზედაც ფირმებმა და მთავრობამ უნდა გამოეყოს სახსრები მათ დასახმარებლად. რადგან ცალკეული ფირმებისა და დარგების პრობლემები სხვადასხვაა, ამიტომ იოლი სულაც არაა შრომის ნაყოფიერების ზრდა; მისი გაზრდა შესაძლებელი გახდა მენეჯმენტისა და შრომის თანამშრომლობის ორგანიზებით. მენეჯმენტი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებდა მუშებთან, უნერგავდა მათ ურთიერთდახმარების, გვერდით დგომის მეთოდებს. მოქმედებდნენ გუნდური მუშაობის ეფექტიანი მეთოდების და მოტივაციის გამოყენებით. ეს კეთდებოდა იმიტომ, რათა მუშებს უნდა სცოდნოდათ, რომ მიღებული მოგება სამართლიანად უნდა განაწილებულიყო მეწილეებს, მუშებსა და მომხმარებლებს შორის, რაც შესაძლებელია კოოპერირების მთელი მასშტაბების განვითარებით. ამით კი შესაძლებელი გახდა ყურადღების ქვეშ ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია.

იაპონელები ბუნებრივად პრაქტიკული ხალხია. მათ გასწიეს კოლოსალური შრომა და ჩაატარეს მთელი მრეწველობის მოდერნიზაცია, ფართოდ გაიშალა ინოვაციების

დანერგვის სამუშაოები და როგორც მენეჯერები, ასევე შემსრულებლები წარმატებულად თვლიან რომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს და მიაჩნიათ, რომ ის არის მთავარი ეროვნული აუცილებლობა და იაპონური ეკონომიკური წარმატების საფუძველი.

იაპონური მენეჯმენტის არსი

იაპონელებმა გაითვალისწინეს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის განსახლების სიდიდე და გამოიმუშავეს კოოპერაციისა და თანამშრომლობის განსაკუთრებული ხერხი - გაერთიანება ჯგუფებში. მათ მიაღწიეს წარმატებას ჯგუფურ საქმიანობასა და ჯგუფის შიგნით აზრთა კონსესუსში. ეს საინტერესო გამოდგა იმიტაც, რომ თავიდან იქნა აცილებული კონფრონტაცია და დაპირისპირებები. ჯგუფური საქმიანობით აცილებული იქნა ცალკეული ადამიანის განცალკევების გრძნობა. ჯგუფური საქმიანობა მოითხოვს თვითდისციპლინას. იაპონელები დადებითად არიან განწყობილნი ჯგუფის მიმართ და ამიტომ მენეჯერები მათ ეხმარებათ თავიდან აიცილონ დაპირისპირებები, რასაც შეუძლია ვნება მიაყენოს მთელ ფირმას. ამ თვისებით სჩანს, რომ იაპონური საზოგადოება ერთსახაა და გავრცელებულია კოლექტივიზმის ნება. იაპონელი ყოველთვის აზროვნებს თავისი ჯგუფის სახელით, პიროვნება არ არსებობს ჯგუფის გარეშე.

იაპონური მენეჯმენტის მმართველური ფუნქციები და პრინციპები თანხმობაშია სოტორნის (აშშ) ე. მეიოს მიერ ჩატარებულ კვლევებთან, სადაც დამტკიცდა, რომ მუშაობა ჯგუფური საქმიანობაა. იაპონური ფირმა ევროპულისა და ამერიკულისაგან განსხვავებით არაა მექანიკური მიდგომით შექმნილი იურიდიული პირი, იგი იაპონიაში ითვლება ორგანულ, ცოცხალ ორგანიზმად. სულიერებით განსაზღვრული ფირმა ხელშეუხებელია, როგორც ოჯახი, იგი ეკუთვნის ყველა მომუშავეს. მენეჯერები ვერ იტყვიან, რომ ეს მისი ქონებაა და შეუძლია გაყიდოს თავისი შეხედულებების მიხედვით. აქ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მმართველობა, მაგრამ ფირმა რჩება. ამიტომაც ფირმა წარმოადგენს გრძელვადიან ორგანიზაციას და გარანტირებულია სიცოცხლის მანძილზე დაქირავება. ხდება ფირმის რეორგანიზება, იცვლება მმართველობა, ხოლო ფირმის ლიკვიდაცია არ ხდება და რეორგანიზაციის შემდგომ აგრძელებს საქმიანობას.

ამ თვისებიდან გამომდინარე ფირმამ უნდა იმოქმედოს როგორც შეკრულმა გუნდმა, ამდენად მეტად ფასდება ხასიათის ისეთი თვისებები, როგორცაა ურთიერთნდობა, თანამშრომლობა, ჰარმონია და ჯგუფის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტაში სრული მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობას კარგავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და სამუშაოების ინდივიდუალური შესრულება. მიზანს წარმოადგენს ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესება და ჯგუფური სოლიდარობის გაგრძელება.

ისმება კითხვა, რატომაც, რომ იაპონური ფირმები არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ სამუშაოს ინდივიდუალურ შესრულებას? ფირმაში ასეთი ყურადღება იწვევს

თანამშრომელთა შორის ეგოისტურ ურთიერთობებს, თითოეული მომუშავე მიჯაჭვული ხდება თავის სფეციფიკური როლის შესრულებაზე, ამის გამო ძნელი ხდება ერთმანეთს შორის თანამშრომლობა, რთულდება საქმიანობის კოორდინირება და ეფექტიანი ორგანიზება, რისგანაც ფირმა ზარალს უფრო ღებულობს ვიდრე წარმატებას.

ამგვარად, იაპონური მენეჯმენტის წარმატებისა და ეფექტიანობის საფუძველს წარმოადგენს საქმიანობის მართვა ჯგუფის პოზიციით, ამიტომაცაა, რომ ჯგუფია და არა რომელიმე რანგის მენეჯერი პასუხისმგებელი, როგორც წარმატებაზე, ასევე წარუმატებლობაზე. განსაკუთრებით წარუმატებლობაზე იშვიათად ხდება ინდივიდის გაკიცხვა თვით შემოქმედებითი გადაცდომაზე. იაპონურ მენეჯმენტში გადაწყვეტილებას ღებულობს ჯგუფი. თანამშრომლებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ თავისი მოსაზრებები და გადასცენ პასუხისმგებელ პირებს; ყველა წინადადება ან მოსაზრება მზადდება ფირმაში მიღებული სტანდარტით და გადაეცემა უმაღლეს მენეჯმენტს. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც ცნობილია ჯგუფის ყველა წევრისათვის, თითოეული მათგანი საზღვრავს საკუთარ ამოცანას და უფრო მეტიც იგი უზრუნველყოფილი ხდება ყველა საჭირო საშუალებებით, რომ ხარისხიანად შეასრულოს ამოცანა. ფირმაში ყველა სტადიაზე მოქმედებს ასეთი საჭირო კოორდინირება. ამის საფუძველზე ფირმაში არსებობს მუდმივი კავშირი ხელმძღვანელსა და შემსრულებელს შორის. მართვის საშუალო საფასურის (დონის) მენეჯერის თვალწინ მიმდინარეობს საქმიანობა და იგი საქმეში ჩარევის გარეშე აკონტროლებს სიტუაციას, მაგრამ თუ მოხდა რაიმე გადაცდომა და შემსრულებელი თავს ვერ ართმევს მას, იგი ჩაერევა საქმეში - თვითონ ასრულებს ამ ოპერაციებს, რითაც იგი თავიდან კი არ იცილებს წარუმატებლობას, არამედ ახდენს დადებითი შედეგის მიღებას. ასეთი მოვლენა მოითხოვს სიღრმისეულ ურთიერთგაგებას. საერთოდ იაპონურ ფირმაში კარგ ხელმძღვანელს-მენეჯერს ყურადღების ქვეშ ჰყავს ყველა დაქვემდებარებული ისე, როგორც მამა-შვილებს თავის ოჯახში. ეს არის მენეჯმენტის უმაღლესი წარმატება და ამიტომაც ვუწოდებთ მას იაპონური მენეჯმენტის სასწაულს.

საინტერესოდ მიგვაჩნია კიდევ შევჩერდეთ იაპონურ ეკონომიკურ სასწაულზე, რაზედაც დიდი ინტერესია და სურთ გაიგონ მისი არსი. ერთმა კომპეტენტურმა ამერიკულმა გამომცემლობამ „ნიუ უიკმა“ მოკლედ დაახასიათა იაპონიაში ეკონომიკური სასწაულის საიდუმლო. როგორ მიაღწია მას იაპონიამ? პასუხი:ჩადებულია იაპონურ მნიშვნელოვან ხასიათში.

იაპონელი დისციპლინირებულია, აზროვნებს ჯგუფის ინტერესებით და მზადაა ექსტრაორდინირებულ ძალისხმევაზე საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. იაპონელ მენეჯერთა განმარტებით „კომპანია, როგორც მამა, იგი მიყურადებულია თქვენზე მთელი ცხოვრება. თქვენ იხდით ამისათვის თქვენი ერთგულებით“. იაპონელები წარმოადგენს არა როგორც ინდივიდთა საზოგადოებას, არამედ როგორც ეროვნულ ოჯახს.

იაპონელებისათვის მთლიან ეროვნულ შემოსავალზე თვალყურის დევნება ითვლება ეროვნულ თამაშად და ნებისმიერი ფირმის წარმომადგენლის წარმატება ბაზარზე ხდებიან ეროვნულ გმირებად, ხოლო მთელი გულით საქმეზე მინდობილი ხელმძღვანელი მენეჯერი შეიძლება გახდეს ეროვნულად აღიარებული პიროვნება.

გადაწყვეტილების მიღების იაპონური მიდგომა და უნიკალურობა მენეჯმენტის კლასიკურ თეორიაში განსაზღვრულია, ფორმირებულია ერთმმართველობის პრინციპით. ამის შესაბამისად ნებისმიერ ორგანიზაციაში თითოეული თანამშრომელი დავალებას იღებს ერთი ხელმძღვანელისაგან და პასუხისმგებელია მასზე მის წინაშე. ე.ი. ეს ნიშნავს, რომ ბრძანებაზე და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია ერთი ადამიანი.

იაპონური სისტემა (რინგი) მთლიანად საპირისპიროა. ამ სისტემის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა არაა სპეციფიცირებული. გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია მთელი ჯგუფი ანუ არც ერთ ადამიანს არ ააქვს უფლება, რომ მიიღოს გადაწყვეტილება. სისტემის მოთხოვნაა გადაწყვეტილება ყველას მიერ უნდა იყოს მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბრუნდება ორგანიზატორთან.

მენეჯმენტის საერთაშორისო გურუს პიტერ დრაკერის კვლევით განისაზღვრა, რომ იაპონელები ერთადერთნი არიან, რომლებმაც შექმნეს გადაწყვეტილების მიღების მეთოდური და სტანდარტული მიდგომა. ეს მიდგომა მიწასთან ასწორებს ყველა წესს, რომელიც წარმოადგინეს თეორეტიკოსებმა. იაპონელების მიდგომა გადაწყვეტილებაზე ძალზედ ეფექტიანია. თეორიის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე **პირველ ნაბიჯს** წარმოადგენს საკითხის დაყენება. **მეორე ნაბიჯს** - ალტერნატივების წარმოდგენა და **მესამე ნაბიჯს** უკეთესი გადაწყვეტილების შერჩევა. იაპონელები თვლიან, რომ პირველი ვერსია განსაკუთრებულია და მისი კორექტულად დაყენებისას გადაწყვეტილების მირება სწრაფად ხდება.

მენეჯმენტის მნიშვნელობა და სწავლება

ჯგუფური ცნობიერების მიუხედავად მენეჯერებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაპონიის ეკონომიკასა და ბიზნესის მართვის საქმეში. ისინი აცნობიერებენ და ეთანხმებიან პიტერ დრაკერის განსაზღვრას მენეჯერებზე. „მენეჯერი ესაა ნებისმიერი ბიზნესის ცხოველმყოფელი ელემენტი“. იაპონელები დარწმუნებულები არიან, რომ ეფექტიანი და ინოვაციური მენეჯმენტი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის არსებით რგოლს და თვლიან, რომ მენეჯმენტის გარდა გამოცდილებისა, მისი სწავლა შეიძლება - შესაბამისად, დამუშავებულია საჭირო და აუცილებელი მენეჯმენტის სემინარების პროგრამები. მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ცოდნის მიღება სასურველი მიმართულების მიხედვით, ძალზედ პოპულარულია სემინართა პროგრამები უმაღლესი მენეჯმენტის სტრუქტურასა და

ორგანიზაციაზე, მარკეტინგისა და სამრეწველო მანქანათმშენებლობასა და სხვა. იაპონიაში ყოველწლიურად 120-ზე მეტი სემინარი ტარდება, სადაც მონაწილეობას ღებულობს 15000-ზე მეტი მენეჯერი. მენეჯერების მომზადების მიხედვით იაპონია აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილზეა მსოფლიოში.

პიტერ დრაკერი თავის წიგნში, „შედეგიანი მართვა“ (საჭირო საქმის გაკეთების სახელმძღვანელო) ამბობს - „მაღალგანვითარებად სახელმწიფოებს მხოლოდ გონებრივად მომუშავეთა ნაყოფიერება აძლევს ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნებისა და განვითარებად ქვეყნებთან წარმატებული მეტოქეობის შესაძლებლობას, რადგან ასეთ ქვეყნებში შრომის ანაზრაურება მეტად უფრო იაფია“ (1).

იაპონიაში არსებობს მწარმოებლობის ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მენეჯერების მომზადება და მის მიერ დამუშავებული გრძელვადიანი პროგრამით შეისწავლება: (ესაა მმართველთა დაბალი დონე) მარკეტინგი და საწარმოო ურთიერთობების მენეჯმენტი, ხოლო საშუალო მენეჯერთა სწავლების პროგრამა მოიცავს: გადაწყვეტილების მიღებას და საინფორმაციო მენეჯმენტს, ასევე პერსონალის განვითარებას.

იაპონიაში მსხვილი კომპანიების მართვა ხორციელდება პროფესიონალი მენეჯერების მიერ, რომლებიც კომპეტენტურები და ინოვაციურები არიან, მისი მთავარი მიზანია - ზრდა და კომპანიათა განვითარება. იაპონური მენეჯმენტი მუდმივად მიისწრაფვის თვითგანვითარებისაკენ, რისთვისაც აუცილებელია შესატყვისი განათლება. იაპონიაში მომუშავეთა მონაწილეობა არაა დაკანონებული კანონით, რაც მოქმედებს გერმანიაში. რაც შეეხება საკუთრებას, იგი გამოყოფილია მენეჯმენტისაგან.

ლიდერის ხასიათის თვისებების მოქმედების არეალით რითაა საინტერესო იაპონური ხასიათი, რომლის მეშვეობით არა მარტო ცალკეული პიროვნება, ოჯახი, კომპანია, ერთი ინტერესით დაკავშირებული ჯგუფის წევრები, არამედ მთელი იაპონიაა ერთერთი პირველი უმდიდრესი ქვეყანა წარმატებული ეკონომიკით (სასწაულად აღიარებული) მოწინავე და საქონლითა და ტექნოლოგიებით პირველები მსოფლიოში. ასევე, მოსახლეობის კეთილდროების დონით საუკეთესოა დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით, უმუშევრობის დაბალი დონით, გამოირჩევა სიცოცხლის დიდი ხანგძლივობით, სწავლის წყურვილით, ყოველდღიური თვითგანვითარების სურვილით, კოლექტიური აზროვნების გამორჩეულად გამოყენებით.

იაპონური ხასიათი ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე, რაზედაც გავლენა იქონია მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, დედამიწის ფიზიკურმა აქტივობებმა (წელიწადში ხდება რამდენიმე ასეული მიწისძვრა, მათ შორის დამანგრეველი, მრავალი კატასტროფა). გაუთვალისწინებელმა შემთხვევებმა და მოვლენებმა გამოაწრო იაპონური ხასიათი. ამ წინააღმდეგობის დასაძლევ მოქმედებათა ხასიათის შეუპოვრობამ ასწავლა იაპონელ ერს როგორ გამკლავებოდა ასეთ ტრაგიკულ და

კატასტროფულ მოვლენებს, აღედგინა კოლოსალური ზარალი და თავიდან დამდგარიყო ფეხზე და დაბრუნებოდა ადრინდელ ჩვეულ მდგომარეობას, მაგრამ უფრო ძლიერი გამხდარიყო, პროგრესული და განვითარებადი, რაც სასწაულად მიაჩნია დანარჩენ მსოფლიოს.

ამ დახასიათებით ჩვენ გამოვხატავთ იაპონური ხასიათის თავისებურებების საფუძველს, რომელიც მეტად წარმატებული აქტივობით გამოირჩევა, ორიენტირებულია გამარჯვებაზე და ხარისხიან განვითარებაზე, საერთოდ მომავალზე. ამ კომენტარს განვამტკიცებთ ავსტრიელი მეცნიერის ვიქტორ ფრანკლის სიტყვებით: „ჩვენი ჯანმრთელობა დამოკიდებულია ბუნებრივ დამაბულობაზე, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, თუ რას მივალწიეთ დღემდე იმის გათვალისწინებით, რას გვინდა მივალწიოთ მომავალში. მაშინ ის რაც გვჭირდება, არის არა მშვიდი ცხოვრება, არამედ გამოწვევა, რომლის დასაძლევად გამოვიყენებთ ჩვენს ყველა ადამიანურ რესურსს და მივალწევთ დასახულ მიზანს“. მეორეს მხრივ, აგრძელებს იგი ეგზისტენციალური კრიზისი დამახასიათებელია „დასავლური კულტურისათვის, სადაც ყველა აკეთებს იმას, რაც დაავალეს ან რასაც სხვები აკეთებენ და არა იმას, რაც თავად მათ სურთ“ (პ. გარსია, ფ. მორალესი. გვ.53) ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული მოქმედება ნათლად გვაჩვენებს იაპონური ხასიათის უპირატესობებს დასავლური კულტურის წარმომადგენლებთან შედარებით, იმიტომ, რომ თითოეული იაპონელს, ფეხის და ენის ადგომიდან დაწყებული ასწავლიან და მათ შემეცნებამდე დაჰყავთ საუკუნეების განმავლობაში მოქმედი ტრადიციულად და ჩვენი მიდგომით გენეტიკურად ქცეული იკიგაი - იპოვე შენი ცხოვრების არსი - მიზანი. ხასიათის თვისებებს შორის განსხვავება იმითაც გამოიხატება, რომ იაპონიის ეკონომიკურ და ბიზნეს საქმიანობაში „მე“ კი არა „ჩვენ“ წინამძღოლობს და წარმართავს არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური - კოლექტიური აზროვნება.

იაპონიის „ეკონომიკური სასწაულის“ შექმნას ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის ობიექტებისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საქმიანობის სარეკომენდაციო დაგეგმვის შემოღებამ. ესაა სახელმწიფო დაგეგმარების ნაწილი და შეთავსებულია შიდა კორპორატიულ დაგეგმვასთან, რაც რამდენიმე ეტაპად და შინაარსობრივად განსხვავებულად მიმდინარეობდა. გასული საუკუნის 50 წლებში მსხვილ კომპანიებში დაიწყო და მოქმედებდა ხუთწლიანი გეგმები და წარმოიქმნა დაგეგმვის ცენტრალიზებული სამსახურები. 60-იან წლებში კი იგეგმებოდა მსხვილი საწარმოების სტრატეგიული მიმართულებები, ოპერატიული (ყოველწლიური) დაგეგმვის ფუნქციას ასრულებდა განყოფილებები და საწარმოო ქვედანაყოფები. 70-იან წლებში გავრცელდა და მოქმედებს დღემდე (განვითარებული და სიღრმისეული) გეგმიურ-გამაფრთხილებელი სისტემები, რაც საშუალებას იძლეოდა საგარეო მდგომარეობის დროულ რეაგირებაზე., ოპერატიულად გამოვლენა დადგენილი პარამეტრების რეალიზების მაჩვენებლებსა და წინასწარ განჭვრეტაზე ამა თუ იმ ფაქტორების ცვლილებებზე.

საბოლოოდ კვლევებით მიღწეული იქნა თითქმის ჭეშმარიტი გადაწყვეტილება მასზედ, რომ იაპონური ტიპის მართვა არის განსაკუთრებული სახის და გამოიკვეთა ის მიზეზები და ფესვები მისი წარმოშობისა და ფორმირების, ამასთან გამოავლინა იაპონური მენეჯმენტის ისტორიული, ქცევითი და ფუნქციონირების კულტურულ-ტრადიციული ფესვები. იაპონური მართვის ცნობილი დამახასიათებელი თვისებები აწერილი აქვს ამერიკელ მეცნიერს (იაპონური წარმოშობის) უ. ოუჩის თვის წიგნში „თეორია Z“. ესაა განსაკუთრებული სახის მართვის მოდელი, თითქმის „თეორია X და თეორია Y“ განვითარება.

ამ კვლევებით ასევე დადასტურდა ის, რომ გამოკვეთილი იქნა ის დიდი შესაძლებლობები იაპონური მართვის სისტემისა, სადაც ჩადებულია მისი პოტენციალის განვითარება განსაკუთრებით მათ შორის ადამიანური პოტენციალის განვითარება.

ჩვენი დასკვნით, იაპონიის დღევანდელი განვითარების საფუძველზე თავისუფლად დავადგინეთ იაპონური მართვის სისტემის სახე არის უნიკალური, რომელიც ეყრდნობა იაპონიის კულტურულ-ტრადიციულ სპეციფიკასა და იაპონური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებს და რაც შეეხება საკითხს: როგორ მოხდება იაპონური მართვის სისტემის ელემენტებისა და მოდელების სხვა ქვეყნების ეკონომიკის მართვის საკითხებში გამოსაყენებლად გადატანას ეს დიდი კვლევის საგანია და მომავლის საქმე.

ჩვენი მიდგომით კარგი იქნება თუ საქართველოს ეკონომიკისა და კერძო კომპანიები შეისწავლიან და გამოიყენებენ უ. ოუჩის ჩამოყალიბებულ მართვის თეორიას, რომელიც მისადაგებულია და წარმოადგენს იაპონური ეკონომიკის მართვის წარმატებულ მოდელს, გამოარჩევენ ქართულ ტრადიციებს, ქართული ხასიათის თვისებებსა და მართვის გამოცდილებას. წარმატება ნამდვილად გარანტირებული იქნება

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია იაპონური მენეჯმენტის თავისებურებები, იაპონური მენეჯმენტის არსი, იაპონური მენეჯმენტის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო კომპანიების წარმატებასა და მართვის იაპონური მეთოდების განსაკუთრებული იოლი ინოვაციების, ახლი დარგების შექმნასა და ეფექტიანად დანერგვის საქმეში.

საინტერესოა მსოფლიო მასშტაბით იაპონური ეკონომიკური სასწაულის ფენომენი, როგორ მოხდა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მეორე ხარისხიანი ქვეყანა სულ რაღაც 40 წელიწადში (1987 წლიდან) მსოფლიოს მეორე ქვეყანა ასშ-ს შემდეგ მსოფლიო ბაზარზე აღიარებული და ძლიერი კონკურენტი.

იაპონია დღესდღეობით პროდუქციის ზოგიერთი სახის მიხედვით პირველია მან მოახერხა თავისი კონკურენტუნარიანობით გადაესწრო მრავალი ქვეყნისათვის და დარჩენილიყო ლიდერად ამ საქმეში.

რამ განაპირობა და როგორ მოხდა იაპონური განვითარების ფენომენი და რით მოხდ ეკონომიკის ზრდის ასეთი ფაქტორები?

იაპონიაში წარმატების მიღწევის მთვარ ფუნქციას მივაკუთნებთ მენეჯმენტს, რადგან მისი მეთოდები ახლებურად იაპონურ ხასიათს მისადაგებული მიდგომები იქცა წარმატების გზამკვლევერად. თუ ამას დავუმატებთ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (უფრო მეტად აშშ) დანერგულ მართვის მეთოდებს, რომელთა გამდიდრება მოხდა იაპონური ხასიათის შესატყვისი ჯგუფური ორიგინალური გადაწყვეტილებები, მათი კრიტიკულად გადაფასება და ამ გარდაქმნებმა ჩმოაყალიბა წმინდა იაპონური მენეჯმენტი, იაპონური მენეჯმენტის, იაპონური ეკონომიკის წარმატების საფიძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიტერ დრაკერი - „შედეგიანი მართვა“ (საჭირო საქმის გაკეთება. სახელმძღვანელო) გამომცემლობა. „დიოგენე“ 2024 წ.
2. კ. გარსია, ფ. მორალესი - გვ.53
3. უ.ოუჩის - „თეორია Z“.

ინსულტის რისკი ქალებში: რა უნდა ვიცოდეთ?

თამარ მანთიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, VI კურსი

ელფოსტა: tamari.mantidze441@med.tsu.edu.ge

ხელმძღვანელი: ქეთევან კობიაშვილი

აბსტრაქტი

ინსულტი მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული გადაუდებლად სამართავი მდგომარეობაა, რომელიც კვლავ რჩება ავადობის და სიკვდილიანობის წამყვან მიზეზად. ამ თემაზე ჩატარებული უამრავი კვლევის ანალიზის შედეგად შექმნილია წარმოდგენა ინსულტის რისკ-ფაქტორების შესახებ, თუმცა ბოლო წლებში ინტერესის საკითხი გენდერული განსხვავებები ხდება. უფრო კონკრეტულად, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებსა და მამაკაცებში ინსულტის განვითარების, კლინიკურ სურათის და დიაგნოზის დასმის დროს. ზოგიერთი კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს არსებითი განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის, არა მხოლოდ ინსულტის ზოგადი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებისას, ასევე არსებობს სპეციფიკური რისკები, რომლებიც მხოლოდ ქალებში გვხვდება. ამის მაგალითად განიხილება ორსულობის გართულებები, ნაადრევი მშობიარობა, პრეეკლამფსია ან ეკლამფსია, გესტაციური ჰიპერტენზია და სხვა. განსხვავებულია დაავადების კლინიკური გამოვლინებაც, რომელიც ქალების შემთხვევაში ხშირად ატიპურია, რაც თავის მხრივ ართულებს დროულ დიაგნოსტიკას და კიდევ უფრო ზრდის გართულებების რისკს. ეს მოხსენება მიზნად ისახავს ინსულტის სპეციფიკური რისკების შესაფუძვლებს ქალებში და ქალთა ჯანმრთელობის იმ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც მეტ კვლევას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: ინსულტი, იშემიური ინსულტი, რისკ ფაქტორები, ინსულტი ქალებში.

შესავალი

ინსულტი ერთ-ერთი გავრცელებულ გადაუდებლად სამართავ მდგომარეობას მიეკუთვნება. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით ყოველ ოთხ ზრდასრულს შორის ერთს ინსულტის რომელიმე ტიპი აქვს გადატანილი. ამ თემაზე ჩატარებული უამრავი კვლევის ანალიზის შედეგად შექმნილია წარმოდგენა ინსულტის რისკ-ფაქტორების შესახებ, თუმცა ბოლო წლებში ინტერესის საკითხი გენდერული განსხვავებები ხდება. უფრო კონკრეტულად, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებსა და მამაკაცებში ინსულტის განვითარების, კლინიკურ სურათის და დიაგნოზის დასმის დროს. ზოგიერთი კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს არსებითი განსხვავებები ქალებსა და

მამაკაცებს შორის, არა მხოლოდ ინსულტის ზოგადი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებისას, როგორებიცაა ჰიპერტენზია, დიაბეტი, მწველობა თუ სხეულის მასის მაღალი ინდექსი, ასევე არსებობს სპეციფიკური რისკ ფაქტორები ქალებისათვის. ამის მაგალითად განიხილება ორსულობის გართულებები, ნაადრევი მშობიარობა, პრეეკლამფსია ან ეკლამფსია, გესტაციური ჰიპერტენზია, გესტაციური დიაბეტი და სხვა. განსხვავებულია დაავადების კლინიკური გამოვლინებაც, რომელიც ქალების შემთხვევაში ხშირად ატიპურია და ახასიათებს: ძლიერი თავის ტკივილი, კრუნჩხვა, ძლიერი დაღლილობა, თავბრუსხვევა, გულისრევა და ვიზუალური სიმპტომები. წარმოგიდგინთ სპეციფიკური რისკების დასადგენად ჩატარებულ კვლევებს.

მეთოდები

ისეთი სპეციფიკური მოვლენები, როგორიცაა ორსულობის გართულებები, ნაადრევი მშობიარობა, პრეეკლამფსია ან ეკლამფსია, გესტაციური ჰიპერტენზია და ნაყოფის განვითარების დარღვევები, მუდამ იყო დაკავშირებული სხვადასხვა სახის გრძელვადიან კარდიო-ვასკულურ გართულებებთან, მათ შორის ინსულტის განვითარებასთან დედებში. ბოლო მონაცემები აჩვენებს რომ, ეს მდგომარეობები დაკავშირებულია ათეროსკლეროზთან, რაც შემდგომ იწვევს თავის ტვინის სისხლმომარაგების შეზღუდვას, იშემიურ ინსულტს, სუბარაქნოიდული ჰემორაგიას და ინტრაცერებრალურ სისხლჩაქცევებს. ერთ-ერთი კვლევა გვაჩვენებს, რომ სხვადასხვა მდგომარეობები ქალებში საგრძნობლად ზრდის იშემიური ინსულტის რისკს: პრეეკლამფსია 30%-ით, გესტაციური ჰიპერტენზია 80%-ით, ნაადრევი მშობიარობა 65%-ით.

რეტროსპექტული ობსერვაციული ჯვარედინი კვლევა, რომელშიც 4620 ქალისა და მამაკაცის სამედიცინო ისტორია იქნა განხილული, ადასტურებს, რომ არსებობს განხვავება მათ შორის. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ქალების დიდ ნაწილს აღინიშნებოდა ჰიპერტენზიის შედარებით მაღალი პრევალენტობა და ხანგრძლივი ანამნეზი. ასევე ინსულტის გამოსავალი უარესი იყო ქალების შემთხვევაში, მამაკაცებთან შედარებით.

კვლევებით ასევე დადგინდა, რომ ორალური კონტრაცეფტივების გამოყენება ასოცირებულია ინსულტის განვითარებასთან ახლაგაზრდა ქალებში. სისტემური მეტაანალიზის მიხედვით ნებისმიერი ტიპის ორალური კონტრაცეპტივის გამოყენებისას ინსულტის რისკი იზრდება 13%-ით.

საყურადღებოა, რომ ბოლო დროინდელი პროსპექტული კვლევების მიხედვით ქალებში, რომელთაც ჰქონდათ ადრეული ან გვიანი მენარქე ან ადრეული მენოპაუზა გაზრდილი იყო ინსულტის რისკი. მენოპაუზის ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპიაც ასევე გარკვეულწილად ზრდის ინსულტის რისკს.

ბოლო კვლევებით ჩნდება კავშირი მშობიარობის რიცხვსა და ინსულტის პრევალენტობას შორის. აღმოჩნდა, რომ იმ ქალებისთვის, ვისაც 5 ან მეტი მშობიარობა

აქვს ანამნეზში, ინსულის რისკი გაზრდილია. ამის საპირისპიროდ, რისკი შემცირებულია ქალებისთვის, რომელთაც ერთი ან ორი მშობიარობა აქვთ სამედიცინო ისტორიაში. რაც შეეხება ძუძუთი კვებას, ის 23%-ით ამცირებს ინსულტის განვითარების რისკს.

დასკვნა

მიღწეული პროგრესის მიუხედავად ქალებში ინსულტის განვითარების სპეციფიკური რისკ-ფაქტორების შესახებ კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც დამატებით კვლევას საჭიროებს. დღემდე არ არსებობს წინასწარი დიაგნოზის მოდელი ან სპეციფიკური სკრინინგის თუ მკურნალობის გაიდლაინები ქალთათვის. ამ რისკების შესამცირებლად და დიაგნოზის სწორად დასმის მიზნით საჭიროა კლინიკურ კვლევებში მათი მეტად ჩართულობა და რესურსების მოძიება. ამ ღონისძიებების გატარებით ჩვენ უკეთ შევძლებთ ვიზრუნოთ ქალთა ჯანმრთელობაზე,

გამოყენებული ლიტერატურა

1. Rexrode KM, Madsen TE, Yu AYX, Carcel C, Lichtman JH, Miller EC. The Impact of Sex and Gender on Stroke. *Circ Res.* 2022 Feb 18;130(4):512-528. doi: 10.1161/CIRCRESAHA.121.319915. Epub 2022 Feb 17. PMID: 35175851; PMCID: PMC8890686.
2. Kapral MK, Bushnell C. Stroke in Women. *Stroke.* 2021 Jan;52(2):726-728. doi: 10.1161/STROKEAHA.120.033233. Epub 2021 Jan 25. PMID: 33493064.
3. Christensen H, Bushnell C. Stroke in Women. *Continuum (Minneapolis, Minn).* 2020 Apr;26(2):363-385. doi: 10.1212/CON.0000000000000836. PMID: 32224757.
4. El Nahas N, Aref H, Kenawy FF, Georgy S, Abushady EM, Dawood NL, Hamdy S, Abdelmohsen N, Hassan Abdel Hamid Y, Roushdy T, Shokri H. Stroke in women: experience in a developing country. *BMC Neurol.* 2023 Jul 17;23(1):271. doi: 10.1186/s12883-023-03314-3. PMID: 37460962; PMCID: PMC10351134.
5. Katsafanas C, Bushnell C. Pregnancy and stroke risk in women. *Neurobiol Dis.* 2022 Jul;169:105735. doi: 10.1016/j.nbd.2022.105735. Epub 2022 Apr 25. PMID: 35477033.

უსასრულო თამაში სამედიცინო ორგანიზაციებში

აკაკი კურტანიძე

უნივერსიტეტ გეომედი, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, III კურსი.

ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლევან ლაზვიაშვილი, პროფესორი რევაზ ლორთქიფანიძე.

აბსტრაქტი

სტუდენტურ საკონფერენციო მოხსენებაში განხილულია ლიდერული აზროვნების მოდელი „უსასრულო თამაში“, რომელიც კომპანიის მენეჯერებს ეხმარება გრძელვადიანი გამარჯვებების მიღწევაში, კონკურენტების მოკლევადიან დამარცხებაზე ორიენტაციის ნაცვლად. უსასრულო აზროვნების მოდელი ამყარებს და უგრძელებს სისიცოცხლო ციკლს ორგანიზაციებს. სამედიცინო დაწესებულებებში ასეთი აზროვნების სტილის ლიდერები აუცილებელია, რათა იყოს ბალანსი სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და პაციენტების სტაბილურ გადახდისუნარიანობას შორის გრძელვადიანი სტრატეგიისათვის. ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სამედიცინო ორგანიზაციების პაციენტზე სტრატეგიული ორიენტირებულობის ძირითადი მიზნები და ამოცანებია - მეგობრული გარემო, პაციენტებთან კონფლიქტების არარსებობა და მათი ეფექტური გადაწყვეტა, პაციენტის საჭიროებებისა და მათთან მუშაობის უნარის გაგება, პაციენტთან პატივისცემით განწყობილი დამოკიდებულება, პაციენტის ემოციურ მდგომარეობაზე ყურადღება და ზრუნვა, კონსტრუქციული კომუნიკაცია პაციენტთან, კოლეგებს შორის რეალური სიტუაციების ანალიზი და კომუნიკაციების კორექტირების შესაძლებლობება, ინტენსიური სწავლება თემაზე „მაღალი ეფექტიანობა - ხარისხიანი ცხოვრება“.

საკვანძო სიტყვები: ლიდერული აზროვნება, უსასრულო თამაში, სასრული თამაში, სამედიცინო ბიზნესის თამაში, ეგზისტენციალური მოქნილობა.

შესავალი

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვესწავლა უსასრულო და სასრული თამაშების ლიდერული აზროვნების მოდელები [1; 2] და ჩატარებულ იქნა კვლევა ბერლინის კლინიკა „საზოგადოების“ მაგალითზე, სადაც, 2022-2023 წლების სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული განზოგადების მეთოდით და გამოიკვეთა ლიდერული აზროვნების განხილული მოდელის საუკეთესო შედეგიანობის ინდიკატორები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რამდენიც არ უნდა ეცადოს ბიზნესმენი, მოგებისა და გამარჯვების მიღების სურვილს ვერ თმობს. ლიდერები, საქმის კეთებისას, თუ

მოგებისა და გამარჯვების ინტერესებში არ რეზონირებენ, ამჩნევენ, თუ როგორ განაგებს თითოეული მათგანის აზროვნებას წაგების - ე. წ. მარცხის შიში.

ბიზნესის საქმიან ურთიერთობებში თუ ჩნდება ორი მოთამაშე, უკვე იწყება ბიზნეს-თამაში. არსებობს უსასრულო და სასრული თამაშები. [1]

სასრულ თამაშებს გაწერილი წესები აქვს. არსებობს შეთანხმებული პირობა, რომლის მიღწევის შედეგადაც თამაში სრულდება. მაგალითად, ფეხბურთი სასრული თამაშია. მოთამაშეებს იოლად ამოსაცნობი ფორმები აცვიათ. არსებობს თამაშის წესები, მათ აღსრულებას კი არბიტრები უზრუნველყოფენ. ყველა მოთამაშე თანახმაა, ამ წესებით ითამაშოს და დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმდეს. ყველა შეთანხმებულია, რომ განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, რომელ გუნდსაც მეტი ქულა აქვს, გამარჯვებულიც ის არის. თამაში დასრულდება და ყველა შინ წავა. ესეთ თამაშებში ყოველთვის არსებობს დასაწყისი, შუა და დასასრული.

